სახალხო გაზეთი

№ 936 შაბათი, 6 ივლისი 1913 წ. № 936

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი
№ 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო
გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **4 მ. 50 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

პირველ-ხარისხოვანი
დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთ ნ. ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს. მხოლოდ ძმ. ესიკოვსკების ცირკს შეუძლიან იმის ჩვენება, რაც სხვებს არას დროს არ შეეძლებათ!

შაბათს, 6 ივლისს, 1913 წ. გაიმართება საზეიმო წარმოდგენა

„ჩვენი შაბათები"

ასეთ წარმოდგენები იმართება სატახტო ქალაქებში შაბათობით და განირჩევიან საგანგებოდ შედგენილ პროგრამით, რომელსაც ე წრება და არისტოკრატია ამავე დღისათვის ინახავს ახალი დებიუტები და გასტროლები.

წარმოდგენა და გ სტროლი ტფილისელთა საყვარელის გამოჩენილის, მთელ რუსეთში პირველის, მოჯირითე ქალის **თამარისა**. დღესვე მონაწილეობას მიიღებს ცნობილი იტალიელი ოჯახი სახელწოდებული **„ადამიან-ბურთებად"** „დელაკაზო". თვალწარმტაცი მიმოხვრა პრიმ.-ბალერინისა, მოჯირითე ქალის **ქ. გაცელახი**. აგრეთვე ბ. ბროკარსი აჩვენებს დიდებულ ადამიანთა ტიპებს. მონაწილეობას მიიღებენ ყველა პირველ ხარისხოვანი მსახიობ ნი. **ხვალ**: ხვალ, კვირა 7 ივლისს, გაიმართება ორი დიდი წარმოდგენა დღით საბავშვო დიდი წარმოდგენა. ფასები დაკლებული იქნება.

დასაწყ. ხაღ. 8 ს.

დირექცია **ძმ. ესიკოვსკები.**
გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

414

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

დრამატიული თხზულებანი:

ამეგრელოს მთავარი ლევან	40 კ.
ფიქრები, დრ. 5 მოქმედ.	50 ,,
ქრისტინე, დრ. 5 მოქმ.	20 ,,
ღალატი, ნათარგმნი გ. ყიფშიძისა	50 ,,
,, ,, ნ. ავალიშვილისა	1—25 ,,
,, ,, კ. მესხისა	25 ,,
შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა დრ. 4 მოქმედებად	30 ,,
წყევლილი, დრ. 3 მოქმ.	30 ,,
ჟან და მადლენა მირბო.	20 ,,
ექიმი აშირბაჯიანი, ტრ. რამ. ფ.	20 ,,
დასჯილნი, სამ მოქმ.	40 ,,
ცხოვრების ნაწყვეტი	15 ,,
ამხანაგი, დრამ. 4 მოქმ.	25 ,,
ანტიგონე, სოფოკლესი	20 ,,
უმანკონი, დრ. 5 მოქმ. გ. ხერხეაშვილისა	25 ,,
კუდიანი ვარსკვლავი, კომ. 1 მოქმ.	5 ,,
სოფლის გმირები, დრ. 4 მოქმ.	25 ,,
სამშობლოს ბურჯნი, 2 მოქმ.	10 ,,
მოულოდნელი შემთხვევა, ვოდ. 1 მოქ.	15 ,,
გამხმარი ფოთოლი, შიუკაშვილისა	20 ,,
მეორე კაენი, დრ. 3 მოქმ.	30 ,,

მიღებულია ახალი წიგნები:

გვირგვინი, კ. მიქელაძის სახ-ოვრად	1 მან.
მზის სიცილი, აბაშელის ლექსები.	50 ,,
საბავშვო თეატრი, ,,ჯეჯილის" გამოც.	10 ,,
კიკოლიკას ნაამბობი, აკაკი	20 ,,
ბერუა ქრისტესიაშვილი, ლომოურისა	0 ,,

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოთ.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. **ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12. **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606" და ,,914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით.

წ. 1035

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ა. შ. მიქელაძე. 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი **ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ. მაქარაშვილისა.

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

წ. 1220

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაზაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით

1035

კბილის ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ქართული პრესა

„თანამედროვე ქვეყანა" ვალდებულებად გვითვლის, მოვიწონოთ ის, რაც თითონ მოსწონს და არავითარი ყურადღება არ მივაქციოთ იმას, რაც ჩვენ ყურადღების ღირსად მიგვაჩნია. გვისაყვედურებს, როდესაც მეოთხე სათათბიროს მოღვაწეობაზე სწერდით, რატომ სოციალ-დემოკრატების „ღვაწლის" შესახებაც რამე არა სთქვითო.

„რად დაავიწყდა „სახალხო გაზეთი"-ს დარდიმანდებს, — სწერს „თანამედროვე ქვეყანა", — შეკითხვები ჩვენს სკოლებში სამშობლო ენის დევნის, ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებათა და სხვათა შესახებ"

დავამშვიდებთ „თანამედროვე ქვეყანას". ჩვენ ეს „ღვაწლი" არ დაგვავიწყდებია. ჩვენ მხოლოდ უყურადღებოდ დავსტოვეთ იგი, როგორც თვით ვარლამ გელოვანის ბევრი ამისთანა გამოსვლა. ჩვენ მეოთხე სათათბიროს მოქმედების დაწვრილებითი ანგარიშს არა ვსწერდით. ასე რომ ყოფილიყო, უპირველესად ყოვლისა უნდა აღგვენიშნა მოქმედება თვით დეპუტატის გელოვანისა, რომლის მოღვაწეობაც ამ მხრით უფრო ნაყოფიერი იყო. ჩვენ მხოლოდ საზოგადოდ შევაფასეთ მეოთხე სათათბიროს მოღვაწეობა.

„მონობის მოსპობა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლა „სახალხოელთათვის" „სრულიად უმნიშვნელო ყოფილა, — სწერს „თანამედროვე ქვეყანა",—ხოლო გელოვანის ორიოდე კუდშეკვეცილი და უშინაარსო სიტყვა—ქვეყნის აშენება და ისტორიაში შესატანი ამბავი".

ვის როგორ ესმის! „თანამედროვე ქვეყანა"-ს რომ დავუჯეროთ, სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე გატანა საქართველოს ეროვნული მოთხოვნისა უშინაარსობაა. ნება აქვთ ასე იფიქრონ, მაგრამ გაივლის ხანი და მალე თვითონვე იძულებულ გახდებიან აღიარონ, რომ იგი ისეთივე ისტორიული დღე იყო, როგორიც დღე საქართველოს ეროვნული იდეალის დაბადებისა. საქართველოს ისტორია ამ ორ დღეს ველარ დაივიწყებს.

სახელმწიფო საბჭო

(დეპ. პეტ. სააგენტო).

4 ივლისი

გოლუბევი თავმჯდომარეობს.

მინისტრთა ლოჟაში სხედან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვაჭრობის მინისტრი, მიწად-მოქმედების მთავარი გამგე და უწ. სინოდის ობერ-პროკურორი. უკამათოდ მიღებულია 5 კანონ-პროექტი, მათ შორის საერობო გადასახადის 1913—1915 წ.წ. განაწილება ფერგანისა, სამარყანდისა, იბოლინისა, სემიპალატინსკისა, ურალისა, თერგისა და სემირეჩინსკის ოლქებში.

საფინანსო კომისიის მოხსენებით საბჭომ მიიღო 36 კანონ-პროექტი, მათ შორის: მარიუპოლისა და ვლადივოსტოკის ნავთსადგურების გასაფართოვებლად თანხის მიცემისა; კანონ-პროექტი სინოდთან სკოლათა ასაშენებელ თანხის დაარსებისა: კანონ-პროექტი შესახებ სამრეწველო სკოლებში მასწავლებელთათვის ჯამაგირის მისაცემ თანხის გადიდებისა.

მოსკოვის საინჟინერო სკოლის საინჟინერო ინსტიტუტად გადიკეთების საკითხის შემდეგ **ზუბაშოვი** აცხადებს, რომ ეს საკითხი ძალიან რთულია, საჭიროა სკოლის წესდება გადავათვალიეროთ, რაც შეუძლებელია ჰქნას საბჭოს საერთო კრებამ. ამიტომ კანონ-პროექტი უნდა გადაეცეს საგანგებოდ არჩეულ კომისიას.

შჩეპკინი, გზათა მინისტრის ამხანაგი, განმარტავს, 1896 წელს დაარსებულმა საინჟინერო სკოლამ ვერ გაამართლა იმედები, რომელსაც მასზე ამყარებდნენ. სამოსწავლო გეგმა ვერ ხორციელდება, მასწავლებელთა რიცხვი საკმაო არ არის, პრაქტიკული მუშაობა, რომელსაც სკოლის დამთავრების შემდეგ ეწევიან, უსარგებლოა. უფლებათა შეზღუდვა მოწაფეებს მორალურად ამცირებს. ერთად-ერთი საშუალებაა ამ სასწავლებელს ისეთივე უფლებები მიეციოს, რახაირიც პეტერბურგის ინსტიტუტსა აქვს. მთავრობის სახელით სთხოვს საბჭოს მიიღოს კანონ-პროექტი. რაც შეეხება სამოსწავლო გეგმას, თითონ სამინისტრო სცნობს მას არა დასაკმაყოფილებლად და კიდეც განიხილავს ამ გეგმას. საერთოდ საკითხი სატეხნიკო განათლებისა უნდა რიგზე იქნეს დასმული და განხილული ყველა უწყებათაგან მთელი მისი არსებით, რადგანაც სატეხნიკო განათლების საქმის სწორ გზაზე დაყენება არის თავდები ყოველი ქვეყნის წინსვლისა.

კენჭის ყრით ზუბაშოვის წინადადება უარჰყვეს.

მუხლობრივ კითხვის დროს **ზუბაშევმა** შეიტანა ორი შესწორება: მე-8 მუხლისა, რომ ინსტიტუტში მიიღებოდნენ ყველა უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებულნი დამატებითი გამოცდის მოუთხოვნელად.

შესწორების წინააღმდეგ უპასუხებს გზათა მინისტრის ამხანაგი.

შესწორება უარყოფილია. კანონ-პროექტი მიიღეს სათათბიროს რედაქციით. იმ კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც მართლმადიდებელ სემინარიების კანონდებულებათა შესწორებას ეხება ლაპარაკობს **ობერ-პროკურორი** სინოდისა, რომ ეს კანონ-პროექტი სამართლიანობის შედეგია, სემინარიებში და სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებელთა დიდი ხნის სურვილის აღმასრულებელი. ეს მასწავლებლები გიმნაზიებში მასწავლებელთან შედარებით ძალიან ცუდ პირობებში იმყოფებიან. მაგრამ სათათბიროდან გამოსული კანონ-პროექტი ვერ არის სრული, მაგალითად მასწავლებელთა ჯამაგირი გადიდებულია არა სამუდამოდ, არამედ სამი წლით. გარდა ამისა დადგენილია წესი, რომ რექტორობისა, ან სასწავლებელის ზედამხედველის თანამდებობის მისაღებად საჭიროა 10 წლის სამსახური. ასეთი დროს დადგენილება მოულოდნელი შემოჭრა არის ეკლესიის შინაურ საქმეებში. მიუხედავად ასეთი ნაკლულევანებისა, კანონ-პროექტი საჭიროა მიიღოთ, რადგანაც უამისოდ მასწავლებელნი გაიქცევიან სამინისტროს სკოლებში. გვინდა, რომ შევინარჩუნოთ კარგი ძალები მასწავლებლებისა; სინოდს შემუშავებული აქვს მოსახდენი რეფორმა სკოლებისა, და უნდა რომ შეძლება მისცეს სასულიერო წოდების შვილებს შევიდნენ საშუალო სასწავლებელში და აირჩიონ თავის სპეციალობა. ასეთ საშუალო სკოლასთან ერთად იქნება სკოლაც, რომელიც სპეციალად ქრისტეს ეკლესიის მოძღვართ მოამზადებს.

ნადეჟდინი იცავს კანონ-პროექტს. კანონ-პროექტი მიღებულია სათათბიროს რედაქციით.

კრების განახლების შემდეგ საბჭო იხილავს მოხსენებას იმ კანონ-პროექტისას, რომელიც შეეხება ზღვის ნაპირას მდებარე ნავთსადგურებისათვის ყინულის მსხვრეველების ღირებულებას.

ავდაკოვმა. განაცხადა, რომ კომისია თანაგრძნობით ეგებება სამინისტროს განზრახვას, ყინულის მსხვრეველების შეძენისას ზღვის ნაპირას მდებარე ნავთსადგურებისათვის. რაც შეეხება ყინულის მსხვრეველთა შეკვეთას, კომისიამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ მთავრობას შეკვეთა უნდა საზღვარ გარეთის გემთა ამშენებელ ქარხნებისათვის, მაშინ როდესაც, სამშობლო მრეწველობის წაქეზება—პირველად მთავრობის მოვალეობა არის. ამიტომ კომისია კანონ-პროექტს შეუმუშავებლად სცნობს და წინადადებას იძლევა უარჰყოს საბჭომ კანონ-პროექტი, მხოლოდ მთავრობამ შეიმუშავოს საკითხი ყინულის მსხვრეველების რუსეთში აშენებისა და შემოდგომაზე შემოიტანოს საბჭოში.

ვაჭრობის მინისტრი. ჩერდება საფინანსო კომისიის გადაწყვეტილებაზე და ამბობს, რომ მთავრობა ყოველი ღონისძიებით ხელს უწყობს სამშობლო მრეწველობის წაქეზებას: მფარველობითი გადასახადებითა და სახელმწიფო შენაკვეთებითა. მაგრამ ყოველ შეგნებულ მფარველობას საზღვარი აქვს, რომლის იქითაც მფარველობა ხდება არა სასურველი, და გარდა ამისა მავნებელი. საზღვარ გარეთელმა გემთამშენებელმა ქარხნებმა ყინულის მსხვრეველთა ასაშენებლად მოითხოვეს 4.300.000 მან., რუსეთი კი, მარტო სამშობლო მრეწველობის წაქეზებისათვის მოითხოვს 2,500,000 მან. ასეთი წაქეზება შესაძლებელია მხოლოდ მრეწველობის კრიზისის დროს. ეხლა კი ლითონის საქმე ძალიან წინსვლას განიცდის ჩვენში ისე კარგად არის ჩვენი მრეწველობის საქმე, რომ მუშებიც არა გვყოფნის არის აღძრული საკითხი, რომ თუჯი საზღვარგარეთიდან უგადასახადოდ შემოიტანონ. არ გვყოფნის სათბობი მასალა. ამის გამო რუსეთის ქარხნებს დიდი ნაკლულევანება აქვთ და შენაკვეთს დროზე ვერ ასრულებენ. სამხედრო საზღვაო და გზათა მინისტრები მუდამ საჩივარით მიმართავენ ხოლმე ვაჭრობის მინისტრს, რომ ჩვენი ქარხნები შენაკვეთს დროზე ვერ ასწრებენ. რიცხვთაღნიშნით მინისტრი ამტკიცებს, რომ რუსეთის გემთასაშენებლი ქარხნები არ არიან დაინტერესებული გემთა შენებით. როდესაც სამინისტრომ გამოაცხადა შეჯიბრება ყინულის მსხვრეველ გემების აშენებისათვის, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ 8 რუსისა და საზღვარგარეთული ქარხნები, რუსის ქარხნებმა ძალიან დიდი ფული მოგვთხოვეს. მათი ფასი საზღვარგარეთელებისაგან აღნიშნულ ფასს ბღემატებოდა 75—170%. მეორე შეჯიბრების დროს 8 ქარხნიდან მხოლოდ ორმა წარმოადგინა პროექტი. საქმის გადადება ერთ წელიწადს დაგვაკარგვინებს. თუ კანონ-პროექტი ეხლა არ მიიღო საბჭომ, ნათხოვნ თანხას 1914 წლის ხარჯთ განაწილებაში ვერ შევიტანთ. დარჩენილ ფულით სარგებლობაც არ შეიძლება, ვინაიდან ფინანსთა მინისტრმა განაცხადა საბჭოში, რომ აღრიცხულის ზედ-მეტი ხარჯის გადადება შეუძლებელიაო. ამ მოსაზრებათა მიხედვით მინისტრი მოითხოვს კანონ-პროექტის მიღებას სათათბიროს რედაქციით.

ტიმირიაზევი იცავს კომისიის წინადადებას იმ მოსაზრებით, რომ კანონ-პროექტი მხოლოდ შემლებას აძლევს უწყებას გემები ააშენოს და უწყებას კი უკვე შეუკვეთნია საზღვარ-გარედ. მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობის რამდენიმე დარგს წინსვლა ეტყობა, სათბობი მასალის დაკლება სულ ჩრდილავს ამ წინსვლას, ასე რომ ჩვენ მივედით იმ შერცხვენამდის, უგადასახადოთ ვიწერთ ქვა-ნახშირს საზღვარ-გარეთიდან. თუ ვინიცობაა საზღვარ-გარედ მივეცით შენაკვეთი, ჩვენ დავკარგავთ 2 მილიონს, რომელიც ჩვენ ხალხში უნდა დატრიალებულიყო.

შიპოვი. თუ კი ჩვენმა ქარხნებმა სამხედრო დიდი გემები შეიკვეთეს, რატომ ყინულის მსხვრეველს ვერ ააშენებენ.

ვაჭრობის მინისტრი უპასუხებს შიპოვსა და ტიმირიაზევს. სამინისტრო პრინციპით წინააღმდეგია საზღვარ-გარედ შეუკვეთოს გემები, მაგრამ ამას მოითხოვს სიჩქარე, რომელიც საჭიროებამ გამოიწვია.

ავდაკოვი ამბობს, მას აქვს ცნობები, რომ ზოგიერთმა ქარხანამ უარი სთქვა ყინულის მსხვრეველების აშენებაზე იმიტომ, რომ შეკვეთილი აქვთ სამხედრო გემები. მოითხოვს კანონ-პროექტის უარყოფას არა არსებითად, არამედ სამშობლო მრეწველობის ინტერესებისათვის. ხმის უმეტესობით კომისიის წინადადება უარჰყვეს. კანონ-პროექტი მიიღეს სათათბიროს რედაქციით. საფინანსო კომისიის მოხსენებით მიიღეს 23 კანონ-პროექტი, მათ შორის: კანონ-პროექტები შესახებ ამურისა და უსურიის გზებისა. კრების ბოლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ მომავალ სესიას კარგ მდგომარეობაში დაუხვდება საბჭო, რადგანაც წარმოებაში არის მხოლოდ 14 საქმე მათ შორის 6 კანონ-პროექტი მე-3 სათათბიროსი. ერთი მათგანი პოლონეთში სამოქალაქო დებულების შემოღების კანონ-პროექტი დიდი ხანი არ არის, რომ სათათბირომ გადმოქცა. იმედი მაქვს—სთქვა თავმჯდომარემ,—საკანონმდებლო დაწესებულებანი მეტის ინტერესით მოეკიდებიან სამშობლოსათვის დაუყოვნებლივ განსახორციელებელ საკითხებს. შეუძლებელია, რომ ხარჯთ-აღრიცხვა განხილულ იქნეს ამ წლის პირველ ნახევარში, რომელსაც ხარჯთაღრიცხვა ეხება. უფრო არანორმალურია საკანონმდებლო დაწესებულებათა ყურადღება ნავთ-სადგურებისადმი მიმართული იმის გამო, რომ რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის საქმე ბრკოლდება ნავთ-სადგურების მოუწყობლობის გამო. მთავრობამ თავის ვალი მოიხადა, რადგანაც სათანადო განცხადებანი თავის დროზე, 1912 წ. ოქტომბერში შემოიტანა, მაგრამ საბჭომ კი მხოლოდ ეხლა მიიღო. ასეთი დამოკიდებულება ჩვენი სამშობლოს არსებით საჭიროებასთან შეუძლებლად მიმაჩნია.

შემდეგ თავმჯდომარემ მოიწვია საბჭო ფეხზე ადგომით მოესმინა უმაღლესი ბრძანება და გამოეცხადებინა მისი შეურყეველი—უქვეშევრდომილესი გრძნობა მონარ-

ქისათვის. ყველანი დგებიან. სახელმწიფო მდივანი აცხადებს უმაღლეს ბრძანებას, რომლითაც სხდომა შეწყვეტილია 1 ნოემბრამდის თავმჯდომარემ განაცხადა: „გაუმარჯოს ჩვენს ხელმწიფე იმპერატორს! ვაშა!“ დარბაზში სამრიგი ვაშა გაისმა. კრება დაიხურა.

ახალი ამბავი

ტფილისი

დ. ზ. სარაჯიშვილის ანდერძი. განსვენებულმა დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ანდერძით დაუტოვა მამულები, რომელიც უნდა გაიყიდოს და ფული წ.-კ. საზოგადოებას მიეცეს. აღებულ ფულის ნახევარი ქართულ მუზეუმს უნდა მოხმარდეს, ხოლო მეორე ნახევრის სარგებლით სტიპენდიები უნდა დაარსდეს. ნაანდერძევი მამული ამ დღეებში ერთი გაიყიდა ტფილისში, ელისაბედისა და ანდრეევის ქუჩაზე, 25,751 მან. 68 კ. ეს ფული საზოგადოებამ უკვე ჩაიბარა. სტიპენდიების დაარსება მომავალ იანვრისთვის არის განზრახული.

ქალაქის თვითმმართველობაში აღმოჩენილ ბოროტმოქმედების გამო. 4 ივლისს ქალაქის გამგეობას საგანგებო კრება ჰქონდა იმ ბოროტმოქმედების გამო, რომელიც ამ დღეებში აღმოაჩინეს ქალაქის გამგეობაში. გამგეობამ დაადგინა: ფულის გამფლანგველი ნ. მარქაროვი და კონტროლიორი მატინიანცი, რომელმაც პირველს ხელი შეუწყო, დაუყოვნებლივ დაითხოვოს სამსახურიდან; მათ სურდათ, დაეთხოვნათ ისინი მათივე თხოვნის თანახმად, მაგრამ გამგეობამ დაადგინა, საყვედური გამოეცხადოს ქალაქის მთავარ კონტროლიორს გ. კ. ტერ-დავთიანცს, რომელმაც თავის პირდაპირ ხელქვეითს მატინიანცს თავისი მოვალეობა არ ჩააგონა და უფროს სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურეს ა. ა. შავერდოვს, რომლის პირდაპირი ხელქვეითიც იყო ნ. მარქაროვი და რომელმაც სამსახურში დაუდევრობა გამოიჩინა.

როგორც ვწერდით, გუშინწინ „ზაკავკაზიე“-ში დაბეჭდილ წერილში „ტფ. მუნიციპალიტეტის კედლებში“, რომელიც მარქაროვის საქმეს ეხებოდა, ქალაქის მთავარმა კონტროლიორმა ტერ-დავთიანცმა თავი შეურაცყოფილად იცნო და „ზაკავკ“. რედაქტორი ი. ი. რადიკე სამართალში მისცა სისხლის სამართლის მე-1039 მუხლის ძალით, ე. ი. დიფამაციისთვის. გუშინ „ზაკავკაზიე“-ში კიდევ იყო დასტამბული მეორე წერილი „ნუ თუ ქარ[illegible]“, რომელიც კიდევ შეურაცხყოფად მიიღო ბ-ნმა ტერ-დავთიანცმა და ი. ი. რადიკე ამ წერილისთვისაც მისცა სამართალში მე-1039 მუხლის ძალით.

ქალაქის საელექტრონო სადგურის ენერგიის ნიხრი, რომელიც ქალაქის საბჭომ დააწესა, გუბერნატორს წარედგინა დასამტკიცებლად. სადგური ჯერ კიდევ მოწესრიგებული არ არის. სადგურზე დადგმული დიზელების პარალელური მუშაობა ახლაც არ არის კალაპოტში ჩაყენებული იმის მიუხედავად, რომ ნიკოლაევის ქარხანამ, რომელმაც დიზელები დასდგა, საგანგებო სპეციალისტები გამოჰგზავნა. ამის გამო ქალაქი ნიკოლაევის ქარხანას ხელ-შეკრულობის ძალით თვეში 800 მან. აჯარიმებს. მაგრამ ქალაქს მაინც საგრძნობი ზარალი აქვს. როგორ უშველოს საქმეს და როგორ აიძულოს ნიკოლაევის ქარხანა საქმე დროზე გამოასწოროს,-ამის შესახებ ქალაქის გამგეობაში საგანგებო კრება იქნება მოწვეული ამ დღეებში.

საქალაქო ბაღი ხარფუხში ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ხარფუხში ბაღი გააშენოს. ამ აზრით მოლაპარაკება აქვს ქართლ კახეთის სასინოდა კანტორასთან, რომლისგანაც სურს შეისყიდოს ხარფუხში 2,000 ოთხკუთხი საჟენი მიწა.

ტრამვაის დირექციას ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა, გააგრძელოს ორთაჭალის შტო კრწანისის ხიდით საგუბერნიო ციხემდე.

ილიას საღამო. დიდის ილიას ტრაგიკულად გარდაცვალების შემდეგ თელავში ყოველ წლივ იმართება ილიას საღამო 20 ივლისს (ელიობა დღეს). ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების თელავის განყოფილებას გადაუწყვეტია, წელს საღამო იშვიათის ზეიმით მოაწყოს. ამ აზრით გაიმართება სალიტერატურო საღამო. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობის მისაღებად ტფილისიდან გაწვეულია თავის გუნდით კომპოზიტორი ნ. პ. სულხანიშვილი, რომელიც თელავს ამ დღეებში გაემგზავრება.

მტკვრის მარცხენა მხარეს კედლის ჩანგრევის გამო ქალაქის გამგეობამ დაწვრილებით დაათვალიერა ის ადგილი, სადაც კედელი ჩაინგრა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროა სულ დანგრევა დარჩენილ კედლისაც და ახალის აშენება. ინჟენერ ლისიციანის გამოანგარიშებით კედლის აშენება 12,000 მან. დაჯდება. მუშაობას უკვე შეუდგნენ.

4 ივლისს **თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილთან** იყო **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს მიერ არჩეული დეპუტაცია, რომელშიაც შედიოდნენ თ-დი ს. რ. ვახვახიშვილი, ვ. ი. რცხილაძე და თ-დი ვ. დ. ვაჩნაძე, დეპუტაციამ საზოგადოების საბჭოს დადგენილების თანახმად სთხოვა თ-დ ჩოლოყაშვილს, უკან წაიღოს თავის განცხადება და საზოგადოების თავჯდომარედ კვლავ დარჩეს. თ-დმა ჩოლოყაშვილმა თანხმობა გამოაცხადა, კვლავ დარჩეს თავჯდომარედ.

ი. სარაჯიშვილის კონცერტი. ამ მოკლე ხანში გაიმართება მომღერლის ი. სარაჯიშვილის კონცერტი კნ. ციციშვილისა (როიალი) და ი. ზარდალიშვილის (დეკლამაცია) მონაწილეობით შემდეგ ადგილებში: ბორჯომში, წაღვერში, გორში, ახალციხეში, აბასთუმანში და ქიათურაში.

გადასახადი ავტომობილებზე ქალაქის გამგეობის დადგენილებით სავაჭრო სამეურნეო პოლიციას აგენტები ამ ჟამად ქალაქის სასარგებლოდ დაწესებულ საავტომობილო გადასახადებს აგროვებენ. ახდევინებენ თვითეულ ცხენის ძალაზე წელიწადში 3 მანეთს.

ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილების საქმის მწარმოებელი კ. თ. ხახანაშვილი დასასვენებლად გაემგზავრა. მის თანამდებობის ასრულება დაეკისრა ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის მდივანს ა. ს. აღაჯანოვს.

ექსკურსია ტფილისს ჩამოვიდა ტურისტთა საზოგადოების მეხუთე ჯგუფი, რომელმაც დაწვრილებით დაათვალიერა ტფილისის შესანიშნავი ადგილები და დღეს ტფილისიდან მიემგზავრება.

საზაფხულო საგანმანათლებლო კურსებზე, რომელიც სკოლის გარეშე ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მოაწყო მოზრდილთათვის ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (№ 21), ამ ჟამად 50 მსმენელია. მეცადინეობა საღამოთია ორ-ორ საათით. კურსებზე დასწრების ნება ჯარის კაცებსაც მისცეს.

მებამბეობა. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროს ცნობით, მებამბეობის მდგომარეობა შემდეგია: ტფილისის გუბერნიაში საშუალოა, უფრო უკეთესია ბორჩალოს მაზრაში, სადაც წელს ბამბის სანერგეების გაფართოვებაც ემჩნევა, ქუთაისის გუბერნიაში: იმერეთში—საშუალოა, ზოგან საშუალოზე უკეთესი, სამეგრელოში—საშუალოზე დაბალია.

საბებიო ინსტიტუტის ახალი შენობა ნოემბრამდე ვერ დამთავრდება. ინსტიტუტის ახლანდელი შენობა დაქირავებულია და ქირავნობის ვადაც გადის. ამის გამო განზრახულია დროებით, ახალ შენობის დამთავრებამდე, ინსტიტუტის გინეკოლოგიური განყოფილება დახურონ, ხოლო მიგდებულ ბავშვთა მოსათავსებელი განყოფილება სამკურნალო ნაწილის სამმართველოში გადაიტანონ.

წესიერი დასვენება. ტფ. გუბერნატორს დასამტკიცებლად წარედგინა სიღნაღის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეთა წესიერ დასვენების სავალდებულო წესების პროექტი.

საზოგადოებანი და კრებები

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება 3 ივნისს მოხდა თ-დ ს. რ. ვახვახიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრო საბჭოს 13 წევრი. საბჭომ დაადგინა, ეთხოვოს საზოგადოების თავმჯდომარეს თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილს, კვლავ დარჩეს საზოგადოების თავმჯდომარედ. ამის შემდეგ საბჭომ თათბირი იქონია იმის გამო, აიღოს თუ არა იჯარით სოფ. მუკუზანში კერძო მემამულეთა მიწა სასოფლო მეურნეობისთვის. მუკუზანში, როგორც წინად ვწერდით, საზოგადოებამ საკუთრებად შეიძინა 12 დესეტინა მიწა. ახლა განზრახულია კერძო პირის მიწის იჯარით აღება ნაყიდ მიწის გასაფართოვებლად იმ ვარაუდით, რომ სულ გახდეს 25—30 დესეტინა. კრებაზე გამოითქვა ის აზრიც, იქნება ნაყიდი მიწა ისედაც საკმარისია დღეს-დღეობით ჩვენთვისაო. ამტომ საკითხი მიწის იჯარით აღების შესახებ ჯერჯერობით გადაუწყვეტავი დარჩა. საბჭომ მოისმინა კახეთის აგრონომ ბ-ნ საყვარელიძის მოქმედების ანგარიში და დაადგინა: დაევალოს საბჭოს წევრს პ. გ. მელიას, წავიდეს კახეთს, მთელი ნამუშევარი შემოწმოს და საბჭოს საგანგებო მოხსენება წარმოუდგინოს. დასასრულ საბჭომ დაადგინა 15-დან 26 ივლისამდე მოაწყოს ტფილისში კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შენობაში კოოპერაციის კურსები. კურსებზე უკვე ჩაწერილა 32 კაცი, მათ შორის მომეტებული ნაწილი სახალხო მასწავლებელნი და სოფლის საკრედიტო ამხანაგობათა საქმის მწარმოებელნი არიან. კურსებზე ლექციებს წაიკითხავენ ქართულსა და რუსულ ენაზე. კურსებზე, სხვათა შორის, ლექციების წასაკითხად მოწვეულნი არიან საკოოპერაციო საქმის მცოდნენი: ხარკოვიდან ბ-ნი ევდოკიმოვი და მოსკოვიდან—ბ-ნი ორლოვი. ამას გარდა ლექციებს წაიკითხავს საყინულეთა მოწყობის საქმის მცოდნე ბ-ნი ვასილიევი შემდეგ თემაზე: „სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია და საყინულეთა მოწყობის საქმე რუსეთში“.

სოფლის მეურნეთა თათბირი. ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 3 ივლისს განიხილა და მოიწონა პროგრამა ივრის ხეობის მეურნეთა თათბირისა, რომელიც მოწვეულ იქნება 29 აგვისტოს და გასტანს 1 სექტემბრამდე. თათბირი სოფ. საგარეჯოში მოხდება სამეურნეო საზოგადოების თავჯდომარის თავჯდომარეობით. პროგრამა თათბირისა შემდეგია: 1) ივრის ხეობის რაიონში არსებული სასოფლო სამეურნეო კულტურა, მათი შედარებითი ეკონომიური მნიშვნელობა ამ რაიონისთვის, ჰავა, ნიადაგი და სიახლოვე ტფილისთან, როგორც უმთავრეს მომხმარებელ ცენტრთან, 2) სასმელი და სარწყავი წყალი და ღონის-ძიებანი წყლით უზრუნველსაყოფად, 3) ბალახის თესვა, როგორც მეურნეობის ერთი დარგი და როგორც საშუალება მესაქონლეობის განსავითარებლად და ნიადაგის ნაყოფიერების აღსადგენად, 4) მესაქონლეობა და მერძეობა, 5) ტყით სარგებლობა და საბალახოები, 6) სასოფლო სამეურნეო საკოოპერატივო და სხვა სასოფლო სამეურნეო ორგანიზაციები და 7) დემონსტრაცია სასოფლო სამეურნეო იარაღებისა და მანქანებისა.

ქართველთა შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის მორიგი კრება 4 ივლისს მოხდა. გამგეობამ რამდენი წვრილმანი საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინა: საზოგადოების **მუზეუმი** ერთის თვით დაჰხუროს ტფილისის მცხოვრებთათვის და ამ ხნის განმავლობაში წესრიგში მოიყვანოს მუზეუმის მთელი ქონება. მუზეუმში, რომელიც დღეიდან დაიხურება, სამეცნიერო აზრით მუშაობის ნება ექნებათ სხვა ქვეყნებიდანა და ქალაქებიდან ჩამოსულ სპეციალისტებს. ამავე დღეს გამგეობამ დაადგინა, საგურამოს სკოლის ავეჯეულობა შეაკეთოს და მასწავლებელთათვის ახალი სკამები შეიძინოს. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაევალა საზოგადოების მდივანს გ. ბურჭულაძეს, რომელიც საგურამოს კვირას, 7 ივლისს, მიემგზავრება.

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის კრება დანიშნულია 9 ივლისისთვის. გამგეობამ უნდა შეიმუშაოს თავის მომავალ მოქმედების გეგმა და დაადგინოს საკითხი: როდის მოიწვიოს საზოგადოების წევრთა საერთო კრება.

სასწავლებლებში

ახალი სასწავლებელი. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დართო, ქიათურის შავის ქვის მრეწველთა საბჭოს, გახსნას ქიათურაში ახალი ტიპის სასწავლებელი 1912 წლის 25 ნოემბრის კანონის ძალით, სახელდობრ უმაღლესი საქალაქო პირველ-დაწყებითი სასწავლებელი. სასწავლებლის შენობის მოწყობას და შენახვას საბჭო კისრულობს. პირველად სასწავლებელი დაქირავებულს შენობაში იქნება მოთავსებული, შემდეგ კი საბჭო ჰფიქრობს, სასწავლებლისთვის საკუთარი შენობა ააგოს.

დედათა საეპარქიო სასწავლებლის შენობაზე მესამე სართულის დადგმას უკვე შეუდგნენ. ამ საქმეზე გადადებულია 33,000 მან. მუშაობა სექტემბრისთვის დასრულდება.

ბერძნული სკოლა ტფ. ბერძენთა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, გახსნას ხარფუხში ერთი ბერძნული საქალაქო პირველ-დაწყებითი სკოლა.

გორი.

მზადდება **ქალთა ექსკურსია** ატენის ხეობის დასათვალიერებლად. ექსკურსანტები გავლენ დილით ფეხით, შეივლიან სოფ. ჯებირს, გარდატენს, ატენს. დაათვალიერებენ ატენის ძველ, გამოჩენილ ტაძარს, საიდგანაც ეხლახან ვიღაც ბოროტგანზრახველებმა იშვიათი ჩუქურთმიანი ქვა გაიტაცეს, წ. კ. საზოგადოების სკოლას, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების შენობას, საუცხოვო ვენახს და სანერგეს და მთის კალთაზე კიბე-კიბედ გაშენებულს და საღამოთი უკანვე დაბრუნდებიან. ხელმძღვანელობას გაუწევს **სანდრო გძელიშვილი** და მას უნდა მიმართოს მსურველმა.. ექსკურსიისთვის შერჩეული იქნება უქმე დღე. **შემდეგი ექსკურსია უფლისციხეს.**

30 ივნისს, სოფ. სვენეთის მცხოვრებმა, მეეტლე **ნარიაშვილმა** ქეიფის დროს **დანით მოჰკლა** სოფ. ხიდისთავის მცხოვრები, მეეტლე მაწონაძე, მეტსახელად „პაპა“. მკვლელი შეიპყრეს.

ცხოვრება და ხელოვნება

(ჩვენი ახალგაზრდა მწერლები)

ა. ჭუმბაძე.

(შემდეგი *)

„ძლიერია იგი, ვით ის უცნაური მცენარე, რომელსაც გვიმრას ეძახიან; იგი არაოდეს ჰყვავის, თესლს არ იძლევა, მაგრამ უამისოდაც გამძლეა და მარადის ჰხარობს“.

ჭეშმარიტად საგნის სიღრმემდის ჩაუხედავს ავტორს, საგნის ყოველი მხარე გაუსინჯავს, აუწონ-დაუწონია და დასკვნაც სრულიად შესაფერისი გამოუყვანია: სიყვარული ყველას ხვედრია. სიყვარულის მონა ყველაა, თვით უმშვენიერესი და თვით უმახინჯესი, ყველა თავისებურად განახორციელებს მას, ყველას ის სხვა და სხვა სახეში მოევლინება: ერთ წყვილს „ნელი სიოს სახით და მზრუნველი სინაზით ერთმანეთს გადანასკვას, რათა ერთხორცებაში ახალი სიცოცხლე ჩასახოს“; მეორეს, „უძლეველი ჟინით იზიდავს და მოდგმათა განუწყვეტელ ჯაჭვს ამტკიცებს“; მესამეს „მარადიული ლხენის ემბაზში აერთებს, ნათლავს“, მეოთხეს „გაალქაჯებულ ვნებას“ უნერგავს და დამარცხების დროს მკაცრ შურისძიებას იწვევს მასში.

ხოლო ის კი ცხადია, რომ „თესლს იძლევა“ და „ჰყვავის“, „მარადიულ ლხენის ემბაზში აერთებს და ნათლავს“, მხოლოდ ის სიყვარული, რომელსაც თან ახლავს სიმშვენიერე და სილამაზე. სილამაზეს, ავტორის აზრში, არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სიყვარულს, და იგინი ურთმანერთოდ წარმოუდგენელნიც არიან, ვითა სიცოცხლის დაუშრეტელი წყარო.

სიცოცხლის ფასი, ავტორის თქმით, „ერთი პატარა სიტყვით გამოიხატება მთელი სიდიადე და განუზომლობა მისი მეუფებისა—სილამაზე! აი. აზრი ადამიანთა სიცოცხლისა, მისი ფასი და ღირებულება; სილამაზე ხილული, თვალსაჩინო, რომელიც უნებო გარემოს არსებობის მიზანს აძლევს—სილამაზე არსთა და სივრცისა, რომელთა საკვირველ ჰარმონიას შეუქმნია მსოფლიო, აღურიცხველობით მრავალფერი და სიდიადით მიუწვდომელი. სილამაზე, რომელიც ამაღლებისა და განსპეტაკებისაკენ იწვევს ადამიანს, როგორც წარჩინებულს მსოფლიოს არსთა შორის; იგი ის ძალაა, რომელმაც წარმოშვა ღმერთკაცი და მისი ნაირ-ნაირი ხელოვნება — კავშირი გარემოს და ადამიანის სულის სილამაზეთა შორის. განცდა, გაგება ამ სილამაზისა და მისი სულითა და ხორცით, აზრითა და გრძნობით შეყვარება—აი, ადამიანის სიცოცხლის ჭეშმარიტი დანიშნულება! სხვა ყველაფერი მის გარდა სიცრუეა, უშინაარსო, უაზრო ქშუილი ქარისა. იგია მხოლოდ ერთად-ერთი სინამდვილე გარდუვალი, მარადიული ხატება და ჭეშმარიტება. მან არ იცის ცოდვა და ბოროტება, მას ვერაოდეს მისწვდება აჩრდილი სიავისა და დანაშაულისა —თვით უუსაშინლეს ცდომას და უუსაზარლეს მწიკვლს ჰფარავს მისი ძლიერება, რადგანაც მხოლოდ იგია ის ღერძი, რომლის გარშემოც ტრიალებს სულთქმა და სიამე, მწუხარება და ბედნიერება, სიკვდილი და სიცოცხლე. განა ეს ცოტაა? განა არ კმარა იმ ორი დღის სიცოცხლისათვის, რომელიც ბედისწერას ადამიანისთვის გაუმეტებია?“

ამ ცოტათი არ იყოს გაჭიანურებულ ციტატას მივმართე ჯერ ერთი იმისათვის, რომ, სამწუხაროდ, ეს მრავალ მხრივ საყურადღებო მოთხრობა ცალკე არ არარის დასტამბული და გაზეთის ცალ-ცალკე ნუმრების აღნუსხვა და მოძებნა ძნელია. მეორეც მინდა მკითხველი ჩაუკვირდეს და გაითვალისწინოს, რომ სიყვარულსა და სილამაზეს ავტორი თითქმის ერთსა და იმავე საფეხურზედ აყენებს, თითქმის ერთისა და იმავე სიტყვებით ამკობს.

უნდა აღვიაროთ ისიც, რომ რიტორიკის ელფერიც ახლავს თან ასეთს პასსაჟებს, მაგრამ ავტორის გასამართლებლად უნდა ითქვას ის, რომ ეს რიტორიკა სავსეა გულწრფელისა და ღრმა ლირიზმით, რაიცა სრულიად მისაღებად ჰქმნის მას, ხოლო ამასთანავე ეს მოთხრობა „იდუმალ ძალთან“ ერთად თავისებური მანიფესტია, დეკლარაციაა სიმბოლისტურის ნაწარმოებისა და, როგორც ეგრეთი, სავსებით საყურადღებოა, ჩვენს მწერლობაში იგი უჩვეულო რამ არის და მით უმეტეს ორიგინალობასთან ერთად მრავალნაირად აღსანიშნავია.

უნდა ვსთქვათ ისიც, რომ არა თუ მარტო სიყვარულისა და მგრძნობელობის განყენებულისა და ლირიულის მხარით კმაყოფილდება ჩვენი ავტორი, იგი სქესობრივ გრძნობის უდიადეს—ხორციელ მხარეს არ ივიწყებს, მაგრამ აღრმავებს იმ ნაწილებს ამ მხრისას, რომელიც სდგას გარეშე ყოველის ბიწიერებისა.

აბა წაიკითხეთ, როგორ ადგვიწერს უმწვერვალეს წამს ორ მიჯნურთა შეერთებისას:

„გულს მოჭარბული სათქმელი იმდენათ დიდი და მნიშვნელოვანი იყო, რომ გვეშინოდა, ვაი თუ სიტყვამ სავსებით ვერ გამოსთქვას იგი და ტყუილ უბრალოთ ააშფოთოს ისედაც აბორგებული სულიო, სამაგიეროთ ერთმანერთის სიახლოვისაგან ათრთოლებული გული დაუცხრომლათ ლაპარაკობდა, უფრო ლამაზათ, უფრო ნაზათ და გრძნობიერათ, ვიდრე ენა მოახერხებდა. ან კი როგორ შესძლებდა ენა მის გამოთქმას, რაც მაშინ ჩვენ სულში ხდებოდა!... თითოეული მოძრაობა, თითოეული ნაკვთი ჩვენი არსებისა ისეთი გამოუთქმელი სისრულითა და სინაზით ერწყმოდა ერთმანეთს, როგორც ნიავისაგან აფოფინებული ორი კამკამა ნაკადი. როგორც განუყრელ ერთხორცათ შეზავებული ორი ნაკადი სამუდამოთ ჰკარგავს ცალკეობის თვისებას და ლაღი ჩქრიალით ზღვის უცნობ წიაღს მიელტვის, სწორეთ ისე ერთხორცი, ერთპიროვანი, გამოუთქმელი სიმხატით ისწრაფოდა ჩვენი სული სადღაც შორს, შორს, მარადიული შვებისა და მყუდროების სამეფოსკენ. მისთვის აღარ არსებობდა სივრცე და ჟამი; იყო მხოლოდ ერთად ერთი, თვისი განუსაზღვრელი სიდიადით სამყაროს სფეროში დაუტეველი, მარადიული ნეტარების გორგალი, რომელიც ყოველი არსის სიცოცხლეს აზრსა და მნიშვნელობას აძლევს, ისე როგორც პირველყოფილი ქვეყნიერების ხაოსს მის ზედაპირს მოფარფატე ღვთიური სული.

„... ჩვენ და ბუნება ერთი ვიყავით—ჩვენც მასავით სრული, ჯანსაღი და სიცოცხლის ინსტინქტის ამყოლი, მისი მონა, მისი მორჩილი“.

„მარტო ვიყავით ლაღი და თავისუფალი, ვით ტყის ნადირი—რადგან ადამიანნი და მათი ფარისევლური სულის მიერ შექმნილ ცხოვრების სათუო ზნე-ჩვეულებანი ვეღარ გვწვდებოდენ, შორს იყო **მათი ზნეობის უზნეო კანონი**“. (ხაზი ჩვენია) და თვით რეალური გამოსახულება სიყვარულისა, სქესობრივი ინსტინქტისა ავტორის თვალში რაღაც დიადი და იდუმალი რამ არის, რომელსაც თავისი ბინძური ხელებით სთითხნის ადამიანთა „ზნეობის უზნეო კანონები“.

„უნებურათ აკანკალებული ხელები ერთმანერთის ტანს მოეხვა, მწველი ჟინისაგან გაფიცხებულმა ტუჩმა მეორე ტუჩი მოძებნა და სასიცოცხლოთ გადანასკულ ტანთა მაბრუებელი სუნთქვა ბუნების კვნესას შეუერთდა. და მყის მიწყნარდა, წამს მიყუჩდა იგი **ქვეყნიერების უდიდესი საიდუმლოების წინაშე.** (ხაზი ჩვენია) „უეცრათ განუჭვრეტელმა, ქაღარა ნისლმა დაჰფარა მიდამო. რძის რბილ ნაკადულივით შემოგვეხვა იგი, თითქოს უხილავი მზაკვრის თვალთაგან სურს დაიფაროს ჩვენი სიამის წუთიო. „წამს ცა და ხმელი, ყველა და ყველაფერი გამაყრუებელი ხრიალით საშინელ უფსკრულს ჩაინთქა. აღარა იყო რა, გარდა ვნებისაგან გავარვარებული ორი ტანისა, რომელიც რძისფერ ბურუსში სიამით იძირებოდა, უხმოთ, უსიტყვოთ“.

თქვენ ჰხედავთ, რომ ეროტიული გრძნობანი, ეროტიზმი აქ უმაღლეს წერტილამდის არის მიყვანილი, არ არის დავიწყებული არც ერთი მხარე „ქვეყნიერების ამ უდიდესი საიდუმლოებისა“, მაგრამ თუ დაუკვირდებით ანბანთა შორის, სტრიქონთა შუა გამსჭვრივს ფატალური, ტრაგედიული თვისება იმ გრძნობისა, რომლის წინაშე გულგრილი და გულზვიადი ბუნებაც კი თავს იხრის.

III

„იდუმალ ძალაში“ გამიჯნურება ნორჩ ასულისა დამთავრდა საშინელის დამარცხებით, ვინაიდან სატრფოს გულცივობასა და გულგრილობაზე დადნა წმინდა გრძნობა სიყვარულისა. „მთის ასულს“ ბოროტ ძალთა აღვირწახსნილობამ მოუსპო ნეტარებისა და ბედნიერების წამები.

მესამე თავის მოთხრობაში ბ. ჭუმბაძე ჩვენ გვაჩვენებს, რომ არა თუ გარეშე პირობა, გარეშე მოვლენა ჰქმნის ტრაგედიულ ატმოსფერას სიყვარულის განხორციელებისათვის, თვით მაშია ელემენტი ტრაგიზმისა, თვით მაშია ნაწილი ბოროტებისა და სირცხვილისა.

„უფსკრული“ *) ამბავია ცოტა არ იყოს მომწიფებულის დედაკაცის—დედლისა (ასეთ ეპიტეტით ნათლავს მას ავტორი) და ახლად აყვავებულ ყრმისა, რომლის ახალგაზრდობა და მშვენიერება ერთმანეთს ეჯიბრება და საერთოდ იგი სილამაზის სიმბოლოა და სიყვარულის იმ მომენტისა, რომელშიაც თავმოყრილია სიხარული და ბედნიერება. იდუმალი ძლევამოსილება და თავდავიწყებული ნეტარება. „მარტო ერთი ახალგაზდობა რათ არ ღირს; იგი ხომ თვით სიცოცხლეა და, მაშასადამე ძვირფასი განძიც“ გვეუბნება ავტორი სუსანას პირით და ამგვარად თავისებურ სამებას აღიარებს სიყვარულს, სილამაზეს და ახალგაზდობას. ორ მცნებას უწინდელ მოთხრობებში უძღვნა საგალობელი, მესამეს აქ და მართლაც სიყვარული იქ არის, სადაც სიყმაწვილეა და სადაც სილამაზეა, ურთმანერთოდ იგინი წარმოუდგენელნი არიან, ხანმოკლე და სუსტნი.

ბიძინა თუ ესეთია მშვენიერი, ახალგაზდა, რომელსაც „ცხოვ...რე...ბას“ (სუსანას სიტყვა) ჯერ თავის წუმპეში არ ჩაუთრევია... იგია „ნორჩი, თითქმის ბავშვი, ასე რომ დიდ ქალაქს ჯერ არ დაუსვამს მისთვის დაგეშილობის ის დაღი, რომელსაც ვერ ასცდება ხოლმე... ვერც ერთი ახალგაზდა“ (სუსანას სიტყვებია)—სულ სხვა გვარია მეორე წყვილი—სუსანა. ეს ნამდვილი დაგეშილი დედალია.

„მაინცა და მაინც ლამაზი არ იყო, არც ახალგაზრდა, მაგრამ მისი სახისა, თუ ტანის ყოველი ხაზი რაღაც არა მიწიერი, მეტად ნაზი და სათუთი მოქნილობით იყო გაშუქებული: დახვეწილს, შავგვრემან სახეს არაოდეს შორდებოდა მშვიდი, მთვარის შუქივით მკრთალი ღიმილი. განსაკუთრებით მომხიბვლელი იყო მისი ღიმილი, როცა ოდნავ გაპობილი, მოსქო ტუჩები ბროლივით თეთრად მიჯრილ კბილებს გამოაჩენდა; მისი წყლიანი, გიშერივით უნიშნო თვალები დაუთრგუნველი ვნებათა ღელვის მორევს ფარავდა“... ნამდვილი სურათია სქესობრივის ჟინის აღმძვრელის დედლისა. ალ. დიუმასა (შვილს) აქვს აწერილი ასეთი ქალების სურათი, სწორედ იმას გვაგონებს ბ. ჭუმბაძის სუსანა. მთლად მთელი მისი ქცევა ბიძინასადმი არა არის რა თუ არ ჟინის გახელება, ჟინის აღძვრა იქ არა არის რა სული და სქესობრივი ინსტიქტის მოთხოვნილება უნორმალო რამე არის ქცეული, რომელმაც უნდა დაჰლუპოს ყოველივე სიწმინდე, რომელიც თან ახლავს გრძნობას სიყვარულისას, იგი სწამლავს, შხამით რწყავს იმ „საღ ინსტინქტს—ინსტინქტს, რომელსაც წრფელი სიყვარული აძლევს ხოლმე ძალასა და ლხენით აგვირგვინებს“.

ბიძინას უყვარდა ეს დედალი „ქალწულებრივის გრძნობით“ „ბავშვის დაუცხრომელი სტიქიონური

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 935

*) „უფსკრული“, „კოლხიდა“, 1912 წლ. № 3, 24, 25, 26 და 27.

◆ კარგი იქმნებოდა ჩვენი ქალაქის „მამები“ მამინაცვლობას თავს დაანებებდნენ და მეტ ყურადღებას **მიაქცევდნენ წყლის არხებს** ზოგან წყალი არხიდან ქუჩას მოედება ხოლმე და გავლა შეუძლებელი ხდება. ამ მხრივ საყურადღებოა მიხაილოვის ქუჩა და ტფილისისა, საქალებო გიმნაზიასთან, ზოგან ღორებიც კი წვებიან შიგა.

◆ დაბრუნდა **სათსტატო სემინარიის მოწაფეთა ექსკურსია**, რომელმაც შემოიარა ქ. დონის როსტოვი, კიევი, მოსკოვი, პეტერბურგი და მდ. ვოლგის ქალაქები. ექსკურსანტები ძლიერ კმაყოფილნი არიან მოგზაურობით.

◆ „ქართლი“-ს სტამბაში უკვე იბეჭდება ემ. ზოლას სახელგანთქმული რომანი **„ქვა-ნავშირის მთხრელები**, თარგმანი ივ. ავალიშვილისა. ამ წიგნზე ხელისმოწერა იყო გამართული.

◆ აგერ რამდენიმე დღეა **საგრძნობლად აგრილდა.** საღამოობით თითქმის ცივა კიდეც.

ჩინებული დაწესებულება

(წერილი ქუთაისიდან)

შემთხვევა მოგვეცა დაგვეთვალიერებინა ქალაქის ახალი საავადმყოფო სალორიის აგარაკში. ჩინებულ სანახაობას წარმოადგენს შუაგულს მუხნარში, მაღლობს ადგილზე გამოჭიმული სამსართულიანი ვეებერთელა შენობა. მედიდურად გადაჰყურებს ის სამის მხრით დაფენილს ხავერდოვან ჭალებს, რომლებზედაც მიიკლაკნებიან გიჟმაჟი რიონი და გულმდვრია წყალწითელა. მაღალკედლებიანი ნათელი ოთახები, რომელთაც უხვად ხვდება მაკურნებელი მზის სხივები; გაპრიალებული იატაკები; ახლად შეთეთრებული ჭერი და კედლები; ელექტრონის განათება, როგორც შიგნით, ისე გარედ ეზოში; პატარა ბაღჩა თავისი კოხტა აუზითა და მოჩუხჩუხე შადრევანით—ყველა ეს საუკეთესო შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე თავს თითქო უფრო მსუბუქად, უფრო მჩატედ გრძნობ ბუნების წიაღში. პირდაპირ გსურს პირი გააღო და ხარბად ისუნთქო გრილი, სუფთა ჰაერი, რომ ქალაქის ქუჩების მტვერით დატვირთული ფილტვები გაიბანო, გაისუფთაო. კარგად მყოფსაც კი სურვილი გებადება, რომ გაშორდე ქალაქს და აქ დაბინავდე, როგორც სააგარაკო სადგომში. ეს მარტო საავადმყოფო კი არა, ნამდვილი სანატორიუმია.

მადლობითა და ლოცვა-კურთხევით მოიხსენიებენ გახკურნებული ავადმყოფები იმ პირთ, რომელთა წყალობით საავადმყოფოსათვის ამორჩეულ იქნა ასეთი ყოველი მხრით შემკული ადგილი ქალაქის განაპირას და არა შუა ქალაქში, როგორც ამას დაჟინებით მოითხოვდა ზოგიერთი პატივცემული ხმოსანი.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ისმის მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, ვითომც საავადმყოფო ქალაქზე შორს იყოს და ეს დიდს უხერხულობას ჰბადებს, როგორც თვით ავადმყოფებისა, ისე მათი მნახველებისთვის. ჩვენ ეს აზრი, სულ უსაფუძვლოდ თუ არა, მეტად გაზვიადებულად მაინც მიგვაჩნია. საავადმყოფო შუა ქალაქიდან (ქალაქის ბაღიდან) ორი ვერსითაც არ იქნება დაშორებული და აქ მანძილის გავლას ეტლით სჭირდება 8—9 წამი. საავადმყოფომდი ეტლით მისვლა ღირს ექვს შაურად; მაგრამ, როგორც გავიგეთ, ამ დღეებში „ლინეიკა“ დაიწყებს საავადმყოფოსა და ქალაქს შუა მისვლა-მოსვლას და თითო გზობაზე გადაახდევინებს თითო კაცს მხოლოდ ორ შაურს... მაგრამ ამ მითქმა-მოთქმას უთუოდ ძალე მოეღება ბოლო, როდესაც საზოგადოება თვითონ დაინახავს იმ ღირსებებს, რომლითაც დაჯილდოებულია საავადმყოფო.

საავადმყოფოს განაგებს ცნობილი დოსტაქარი ე. ვ. როძევიჩი; შინაგან ავადმყოფობათა განყოფილების ექიმად კი მოწვეულია მოსკოვიდან ექიმი ვ. ა. ხეჟსაძე, რომელსაც შესწავლილი აქვს ბაქტერიოლოგია და ოთხი წლის განმავლობაში ორდინატორად ყოფილა მოსკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული განყოფილების კლინიკაში.

საავადმყოფოში სულ 75 საწოლია; ამათგან 65 ფასიანი და 10 უფასო, ღარიბთათვის.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ერთი საკითხი კი დაიდგა წინ საავადმყოფოს დათვალიერების დროს: შესძლებს, თუ ვერა ქალაქი ამ საავადმყოფოს შენახვას? წინდაწინვე შეიძლება სთქვას კაცმა, რომ საავადმყოფოს შემოსავალი ხარჯს ვერ დაფარავს, და ეს არც გასაკვირველია: ასეთი მაგალითები ხომ სხვა ქალაქებშიც თითქმის ყველგანაა. ჩვენის აზრით, თუ ქალაქი ამდენ ხანს წელიწადში 10 ათას მანეთამდე დეფიციტს ნახულობდა საავადმყოფოებიდან (ქირურგიული და გადამდებ სენიანთა), მოსალოდნელია, ახლა ეს დეფიციტი კიდეც გაორკეცდეს და გასამკეცდეს, თუ ყოველმა ექიმმა, ყოველმა მოქალაქემ თავის წმინდა მოვალეობად არ დაისახა ხელი შეუწყოს საავადმყოფოს და შეაძლებინოს ქალაქის გამგეობას ამ მეტად სიმპატიური, პირდაპირ საქველმოქმედო კულტურული დაწესებულების ღირსეულად მოვლა-შენახვა.

დასასრულ ვისურვებთ, რომ საავადმყოფოს ექიმებმა, რომლებზედაც უმეტესად დამოკიდებულია საავადმყოფოს ბედ-იღბალი, პირნათლად აასრულონ თავისი წმინდა მოვალეობა და გაამართლონ ის იმედი, რომელსაც საზოგადოება მათზე ამყარებს. ვისურვებთ, რომ საავადმყოფოს დანარჩენი მოსამსახურეებიც თავის ადგილზე ყოფილიყვნენ და არ მოეკლოთ ამ ჩინებული დაწესებულებისათვის საჭირო მოვლა.

ისარა.

სასამართლო

ტფილისის სასულიერო სემინარიის ყოფილ მოწაფეების საქმე.

4 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე განყოფილებაში დაიწყო განხილვა ტფ. სასულიერო სემინარიის მოწაფედ ნამყოფთა: ა. ანჯაფარიძისა, ა. ტყემალაძისა, პ. ცინცაძისა, ი. საბაშვილისა, ფ. სირაძისა, მ. საბაშვილისა, ა. ჯინჭარაძისა, ა. მარღიანისა, ხ. შარაძისა, ფ. იაკობაშვილისა, ჯვარაძისა, აროშიძისა და სხვათა, რომელთაც ბრალდებოდათ შემდეგი: ზემოხსენებული პირნი შეთანხმდნენ ერთმანეთს შორის და გარდა ამისა იმ პირთა შორისაც, რომელიც გამოძიებამ ვერ აღმოაჩინა და შეადგინეს საზოგადოება სახელით „მკითხველების ორგანიზაცია“. ორგანიზაცია ნება დაურთველი იყო როგორც საგუბერნიო მთავრობისა, ისე სამსწავლო მთავრობის მხრივაც. ამათ გამოსცეს ჟურნალი „პირველი ტალღა“ რამდენიმე ნომერი.

სასამართლოს სხდომა **ბ. ოსტაჟევსკის** თავმჯდომარეობით დაიწყო დილის 11 საათზე. ბრალსა სდებდა ბრალმდებლის ამხანაგი ლესნიოვსკი. ბრალდებულთ იცავდნენ ნაფ. ვექილები: ა. ყანჩელი, ი. ბარათაშვილი და ნაფ. ვექ. თან. შ. ალექსი-მესხიშვილი. ყველა 19 ბრალდებული თავდების ქვეშ იყვნენ გაშვებულნი. სხდომის დაწყებისთანავე დამცველებმა შუამდგომლობა აღძრეს, საქმის განხილვა სხვა დროისათვის გადაედოთ, რადგანაც ზოგიერთი მოწმე სასამართლოში არ გამოცხადდა; იმათ ჩვენებას კი საქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

სასამართლომ ეს შუამდგომლობა უარჰყო და ბრალმდებლის შუამდგომლობის მიხედვით დაადგინა, საქმის განხილვა ხალხის დაუსწრებლად მოხდეს. საქმის განხილვას გუშინ წინ მთელი დღე მოანდომეს და განაჩენი მხოლოდ გუშინ დილის 11 საათზე გამოაცხადეს. ამ განაჩენის მიხედვით ბრალდებულნი: ანჯაფარიძე, ტყემალაძე, მიხეილ საბაშვილი, ცინცაძე, ჯაფარიძე, მარგიანი, თარაძე, იაკობაშვილი, აროშიძე, გაბიჩვაძე და ნოზაძე დამნაშავედ იქნენ ცნობილნი და სისხლის სამართლის დებულებათა 124 მუხ. მეორე ნაწილის ძალით მათ ორ-ორი თვის ციხე მიესაჯათ. მაგრამ უმაღლესი მანიფესტის ძალით ისინი სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქმნენ.

დანარჩენნი ბრალდებულნი: არგველაძე, სირაძე, აროშიძე, სალარიძე, თვარაძე, ნ. საბაშვილი, ბოლქვაძე, და მუჯირი უდანაშაულოდ სცნეს და გაამართლეს.

ბრალდებულთაგან: მ. საბაშვილს იცავდა ნაფ. ვექ. **ა. ყანჩელი**, ნიკ. საბაშვილს, ანჯაფარიძეს, ჭინჭარაძეს და ტყემალაძეს—ნაფ. ვექ. **ი. ბარათაშვილი**, დანარჩენთ — ნაფ. ვექ. თანაშემწე **შალვა ალექსი-მესხიშვილი.**

მუშათა ცხოვრება

◆ პეტერბურგში წყლისადენის მუშათა კრებამ გადასწყვიტა, მოაწყოს პროფესიონალური კავშირი, რომელშიც 30 ივნისიდან უკვე დაიწყო წევრების მიღება.

◆ ელექტრონის განათების „1886 წლ. საზოგადოებამ“ გაფიცულ მონტერების ნაცვლად ბერლინიდან გამოიწერა მუშები, რომელთაც ივლისის რიცხვებში ელიან. 24 ივნისს მოხდა გაფიცულთა კრება, რომელზედაც დაადგინეს: სთხოვონ დახმარება მოსკოვის ამხანაგებს.

◆ გაიფიცნენ მ. ფილიპოვის საკანდიტეროს მუშები, რომელთაც შემდეგი მოთხოვნილება წარადგინეს: 1) პატრონის ბინისა და ხარჯის მაგიერ, მიეცეს თითოს თვეში 20 მან. ოსტატებს კი—20—25 მან. 2) თითო მუშას მიეცეს უფასოდ დღეში სამი შაურის ბულკი. პატრონმა უარი განაცხადა მუშათა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე და ანგარიში გაუსწორა ყველა მუშას.

მოწერილი ამბები

თუაფსე (შავი ზღვის გუბერნია) დღევანდელი კულტურული მდგომარეობა თუაფსისა ყოვლად უმწეო და უნუგეშოა. ყველაფერი მიეტევება აქაურ „მამებს“. მტვერი, სიბინძურე, ავდარში გაუვალი ტალახი, ერთი სიტყვით ყოველ მხრივი მოუწყობლობა, მაგრამ სამკითხველოსა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა უქონლობა ასეთ დიდ დაბაში, როგორიც თუაფსეა მიუტევებელ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოთ მათ. თუ „კურორტ“ თუაფსეს კულტურული მხარე ასე მოიკოჭლებს, სამაგიეროდ, რომ გადახედოთ მის ეკონომიურ მდგომარეობას, მის ამ მხრით სწრაფს ზრდა-განვითარებას, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იგი ახლო მომავალში ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს შავი ზღვის პირად მდებარე ქალაქთა შორის. აშენებენ მეორე ნავთ-სადგურს, რომელზედაც ამ ჟამად 300—400 კაცი მუშაობს, გაჰყავთ აქედან არმავირამდე რკინის გზა, (დაახლოებით 200 ვერსია) რომელიც შესაძლებელია შემოდგომისათვის დამთავრდეს და თუ ამას მიუმატებთ განზრახულ შავი ზღვის რკინის გზის (აქედან ქალანამდე) გაყვანასაც მაშინ ხომ, დღესაც ეკონომიურად დიდად გაზრდილი თუაფსე, მეტად განვითარდება. მოგეხსენებათ, ასეთი კუთხე იზიდავს თავისკენ მრავალ ხალხს; ზოგს ლუკმა პურის საშოვრად და ზოგს კიდევ სიმდიდრის შესაძენად. ამიტომაა, რომ დღეს თუაფსეში ათასი რჯულისა და ეროვნების ხალხი ტრიალებს. მათ შორის ვხედავთ ქართველებსაც, რომელთა რიცხვს დღითი დღე ემატებოდა და ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაიზარდა. თავის შემადგენლობით აქაური ქართველობა ჭრელ მასას წარმოადგენს: მუშა, ხელოსანი, ნოქარი, ვაჭარი, წვრილი მწარმოებელი კერძო, თუ სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურე და სხვა. რამოდენიმე კვირაა, რაც აქ დაბინავდა ექიმი ბ. გიორგაძე; ოთხშაბათი გადასდო ღარიბთათვის. რჩევა დარიგება უფასოდაა, რაც თუაფსეში პირველი მაგალითია. დიდია აგრეთვე უმუშევარ, უადგილო ქართველთა რიცხვიც. ამ გარემოებას, სხვა მიზეზებთან ერთად, ხელს უწყობს „ეროვნებაც“. არ ვიცი, რით ხელმძღვანელობენ, მაგრამ ქართველებს აქ მეტის-მეტი ეჭვის თვალით უცქერენ განსაკუთრებით მუშებს. საკმარისია რაიმე ბოროტმოქმედება მოხდეს ვისგანაც უნდა იყოს, რომ პირველად ქართველებზე მიიტანონ იერი მიატუსაღებენ გზავნიან ეტაპით.

ამოდენა ქართველობაში რომ რამდენიმე პირი „არა კეთილ-საიმედო“ გამოერიოს გასაკვირველი არაა, მაგრამ მათ ასალაგმავად საჭიროა სხვანაირი ღონისძიების მიღება სახელდობრ კულტურული საშუალებით ბრძოლა და ვის უნდა ეზრუნა ასეთ საშუალებისათვის უპირველეს ყოვლისა თუ არ იმავე ქართველობას, რომ მას თავისი ეროვნული „მე“-ს სიყვარული და დაცვის სურვილი ქონოდა?

თუ სამშობლო ენის დავიწყება ნიშანია გადაგვარებისა, ზოგი აქაური ქართველის ოჯახი ამ მხრით უკვე უზრუნველყოფილია. ქართული სკოლა აქ არ არსებობს. ბავშებს ადგილობრივ რუსულ სკოლებში აბარებენ, სადაც ქართველს ქართველთან სამშობლო ენაზე საუბარი აკრძალული აქვს, რომლის დარღვევა იწვევს ბავშის სასტიკად დასჯას. ვინ არის მათი ხელმძღვანელი და მიმხედავი? ქართული ოჯახი? ასეთს აქ სანთლითაც ვერ მოსძებნით! ნათქვამია: „დედა ნახე, მამა ნახე შვილიც ისე გამონახე“-ო აქაური ძმები სილოვანის ნამდვილი „შინაური მტრები“ არიან, დედები კი— წმინდა წყლის „კარტველი კალები“.

რით აიხსნება თუ არ მათი გადაგვარებით ის ყრუ დუმილი, რომელიც მათ გამოიჩინეს შარშან ი. გოგებაშვილისა და წელს არ. ჯორჯაძის გარდაცვალების დღეებში? იშვიათი იყო ქართველებით დასახლებული კუთხე, რომ ამ ეროვნულ გლოვის დღეებს, რითიმე არ გამოხმაურებოდნენ და არ აღენიშნათ.

ნუ იფიქრებთ თითქოს თუაფსეს ქართველობა სულ სხვა სოციალური იდეებით, სხვა პოლიტიკური მრწამსით იყოს გატაცებული, რაც არ აძლევდეს მას ნებას ანგარიში გაუწიოს ასეთ „წვრილმან ეროვნულ ხასიათის“ ცხოვრებისაგან წამოყენებულ საკითხებს. ჰხედავთ ერთის მხრით მუშას, მეორე მხრით „მაღალ საზოგადოების“ წევრთ; ვაჭრებს თუ ინტელიგენციას. პირველნი სისხლითა და ოფლით ნაშოვნ კაპიკს სამიკიტნოებსა და როსკიპთა შორის ჰფლანგვენ. ალკოჰოლით მოწამლული და დახშული გონება ნებას არ აძლევს მას ანგარიში გაუწიოს თავის თავს და ფეხ-ქვეშ ათელინებს მუშის პატიოსან სახელსა და დანიშნულებას. ესაა მიზეზი აქაური მუშების შეუკავშირებლობისა, უვიცობისა და გაუნვითარებლობისა,

---

სიყვარულით“ — ქალი კი ძალიან ხელოვნურად სცდილობდა გაელიზიანებია, აეშალა ნორჩის გულის უფსკრულში ჩამალული გაბოროტებული ინსტინქტები, პირუტყვული ვნებები აებობოქრებია იქ. არაფერს არა ზოგავდა, რომ რაიმე ნაირად ეს წმინდა გრძნობა მიწაზე გაენართხა და თავისის ფეხით გაეთელა.

ბიძინა თან და თან სასოწარკვეთილებას ეძლეოდა ერთის მხრით, მაგრამ მეორეს მხრით გრძნობდა, რომ „უფსკრულში“ იძირებოდა, რომ ავსულთა, სატანის სათამაშო პაიკად ხდებოდა და უძლური იყო თავი დაეღწია ამ საშინელის ბრძოლისთვის იგი ნათლად ხედვიდა, რომ ქრებოდა მისი უბიწო ოცნებისაგან შექმნილი ხატება, „პაწია წმინდა სუსანა ხოლო მის ადგილს იჭერდა შავფრთიანი შავი დემონი. დემონი კი არა, ინსტინქტით გახელებული დედალი, რომელიც პირახთილი უტიფრობით აჩენს ტკბობის საიდუმლოებას“. ხშირად ზღვის პირას მოსეირნე, როცა ტალღა ტალღას ეცემოდა და ზღვა საშინელს სანახავს წარმოადგენდა, ბიძინა საოცარის გამჭრიახობით გადაიშლიდა ხოლმე თვალის წინ სუსანას სულიერ არსებას.

იცოდა, კარგად იცოდა, რომ სუსანას გული ზღვას მიაგავდა, რომელიც „გარეგნულათ თვალთ მაქცურათ მიწყნარებულია, ხოლო საშინელების ქარტეხილს მალავს მისი უცნობი წიაღი; გიპარავს, გხიბლავს მისი გულუბრყვილო სათნოება—უცქერ და სასოებაში მოდიხარ—მაგრამ საკმაოა დაბეროს გრძნობის ცხელმა ნიავმა, რომ ვნებათა ზღვის ლხენით მონებივრე ზედაპირი წამს ჯოჯოხეთური გზნებით აღუდღეს და გულცივი მრისხანებით შემუსროს ყველა და ყველაფერი, რაც კი მის სურვილს წინააღუდგება“... კარგად ხედავს, რომ „მიმტაცია მისი ლხენა მოსილი სიმშვიდე, როგორც მეზღვაურისთვის კარგი ამინდი, მაგრამ თან საშიშიც, რადგან არ იცი, სად და როდის დაბერავს მრისხანე გრიგალი, არ იცი და არც შეიძლება იცოდე“.

ამას ყოველიფერს გრძნობს ბიძინა, მაგრამ სქესობრივ ინსტიქტთა სიმძაფრე მის გონებას ბურუსით მოსავს, ნებას უდუნებს და მარტო ვნებას უმახვილებს, სუსანა, ვითა დახელოვნებული კოკეტკა ხელს უწყობს, დააძინოს ბიძინაში ყოველივე წმინდა ზრახვა და ფიქრი და მასში აფთარი გააღვიძოს, ცხოველი, პირუტყვს ლაგამი მიუშვას. ამისთვის იგი უკანასკნელ საშუალებასაც მიჰმართავს, სადღაც დუქანში შეითრევს და დაათრობს მას არაყითა და ტკბილი სასმელებით, რათა მთლად ერთიანად ჩაიგდოს კლანჭებში, აღვირწახსნილ ვნებათა სრბოლაში ჩაიტყუოს და თვით უმწვავესი უმახვილესი, თვით უფრო საბედისწერო გახწყობილება მისცეს თავისთავად ჯანსაღსა და სანეტარო სქესობრივ მოთხოვნილებას. და აღსრულდა, ინსტინქტით გახელებულმა დედალმა, დაიმორჩილა და წაბილწა ქალწულებრივი გრძნობა ბიძინასი...

„გამხეცებული სიხარბით დაავლო ხელი ქალის მოდუნებულ ტანს დ ლოგინზე გადისროლა... „ვით მრისხანე ქარცეცხლის შემდეგ დაამებული ჯეჯილი, ლხენით ნებივრობდნენ იგინი თავდავიწყების დროს მოთელილ ლოგინზე“.

მაგრამ სტიქიურის ღელვის დაწყნარების შემდეგ ბიძინას გულში გაიღვიძა მისმა უბიწოებამ და მისმა მშვენიერმა სიყრმემ, ოცნებითა და პოეზიით აღსავსემ. „ბიძინამ ქალის გადაღეღილ მკერდზე მიდვა ვნებათა წყვეტებისაგან დამძიმებული თავი და სიამით გაირინდა. მოღალული ხორცი მისი მყუდროთ განისვენებდა, ხოლო სულის სიღრმეში, სადღაც მიუვალ ადგილს მიკარგული კუნჭულიდან ნელ-ნელა იშლებოდა ტყვიასავით მძიმე სიცალიერე; თანდათან ძლიერებით ეფინებოდა იგი გრძნობისა და გონების სამეფოს და გულის ამრევ ჟრუანტელად უვლიდა მთელს ტანს. იგი თითქოს გრძნობდა, რომ სიავე რაღაც ჩაიდინა, სწუხდა, გული განუსაზღვრელი სევდით ეკუმშებოდა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, უცნაური კაეშნის მიზეზს... და აი აქაც ტრაგედიული ფინალი სიყვარულისა; სქესობრივ ლტოლვილებას თან ახლავს „ხორციელების შავი დემონი, რომელიც უტიფარი კბილთა ღრეჭენით იზიდავს აშმორებულ უფსკრულისაკენ, სადაც ამპარტავნულად ამართულია უზარმაზარი, მახინჯი კერპი მრუშობისა“. ეს კი გაქარწყლებაა „ქალწულებრივის გრძნობისა“ უცოდველი „სტიქიონური სიყვარულისა“ იგი შემუსვრაა და შებილწვა საბედნიერო, ნეტარებით აღსავსე მგრძნობელობისა.

ოჰ! ნეტავი აქ დაესვა წერტილი ავტორს. მისი ნოველლა ყოვლის მხრით მოგებული დარჩებოდა, მისი საგანი ხელოვნურად განხორციელებული იქმნებოდა და მთლად ერთიანად დაცული იქმნებოდა მთლიანობა და ერთიანობა შემოქმედებისა. რაღაც „შავმა დემონმა“ იგიც გზას აცდინა და არავინ იცის, რათ მოინდომა საზიზღარის მელოდრამატიულის ეფექტების ხმარება, როცა თავისთავად აზრი და შინაარსი ამ თხზულებისა ღრმა გრძნობათა და აზრთა აღმძვრელი იყო. ავტორმა მოინდომა სუსანა ბიძინას დედად ექცია და მე მგონია სრულიად უღალატა აღნიშნულ მიზანს და ის ღრმა ტრაგიზმი, რომლის ფერადი სურათი თვალწინ დაგვიყენა ტყვილა უბრალოდ დაამახინჯა უფრო ფერადი ზოლებით, ვითომ და მისთვის, რომ სურათი უფრო თავზარ-დამცემი გაეხადა. ის კი არა თუ ამან დაარღვია მთელი ხელოვნური სიმეტრია ნაწარმოებისა.

მართლაც რა საჭიროა ეს უცნაური ამბავი, რომელსაც თვით მოთხრობის ზოგიერთი ადგილი სრულიად სინამდვილეს მოკლებულად ხდის (სუსანამ იცოდა, რომ ერთად ერთი მისი შვილი მოჰკვდა). მართალია ჩვენ ვიცით ამგვარი სიუჟეტიანი ჩინებული პატარა მოთხრობები გი დე მოპასსანისა („ფრანსუაზი“ და „მამა“) მაგრამ იქ მთელი სოციოლოგიური სურათია, იქ კრიტიკაა დღეინდელის წესწყობილებისა, რომელსაც ადამიანი მშრომელ პირუტყვად გარდუქმნია, ქვეყანა დიდ სავაჭრო სახლად, სადაც ფულად იყიდება ყოველივე ადამიანის თვისება, ყოველივე მისი სულიერი და ქონებრივი ავლადიდება, მისი ხორცი და მისი გონება. აქ ამ ბაბილონის გოდოლში ძალლი პატრონს ვერ ცნობილობს და ჰყიდის ძმას თავის სხეულს, ისე რომ არც კი იცის რასა შვრება, ვერც იცნობენ ერთმანერთს, ამ თავზარდამცემ მსჯავრს დღეინდელი საზოგადოებრივი წყობილებისას დიდი ფასი აქვს ხელოვნური და მორალური, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. იქ აკტორს —გი—დე მოპასანს — აქვს თავისი გარკვეული მიზანი და ამ მიზნის განხორციელებისაკენ პირდაპირ გზა გადუხვევლად მიდის.

ჩვენს ავტორს კი ეს აზრი სრულიადაც არ აინტერესებს, მისი სურვილია დაგვიხატოს ტრაგიზმით აღსავსე სურათი სქესებრივის ჟინისა, იგი კი გაცუდებაა წმინდა ანგელოსურის სქესობრივს ლტოლვისა, რომელიც ადამიანთა წრემ მონათლა სიყვარულადა და ტრფიალად.

ამისათვის კი სრულიად საკმარისი იყო ის დაპირდაპირება სუსანასი და ბიძინასი ის ღრმა ანალიზი მათი გრძნობისა, რომელიც უხვად არის მოქცეული ამ მოთხრობაში და არაფერ შუაში იყო სრულიად გულის ამრევი შემთხვევა სუსანას და ბიძინას დედაშვილობისა. ეს არა თუ არაფერს მატებს მოთხრობას, ასახიჩრებს მას, გულის შესაზარად ჰქმნის და აქარწყლებს მის ხელოვნურ ღირსებებს. ჩემის აზრით ახალ გამოცემაში, რომ ავტორი გამოსტოვებდეს იმ ორიოდე სტრიქონს, რომელიც ამ საზარელ ამბავს გვაგებინებს მოთხრობა ბევრს მოიგებს ყოვლის მხრივ.

მოგახსენებთ ავტორს აქ ერთად ერთი აზრი აქვს გვაჩვენოს საბედისწერო ელემენტები სიყვარულისა, რომლებიც ყოველ გრძნობაშია მოქცეული და რომელთა გაღვიძება საუბედუროდ ჰქმნის ყოვლის გამაარეველ გრძნობას. ავტორი თანდათანობით ყოველ თავის მოთხრობაში ირკვევს სწორედ იმ ტრაგიზმს, რომელიც განუყრელია ამ უდიდებულესს გრძნობასთან ამიტომაც არის, თუ დააკვირდებით იმ ფსიხოლოგიურ პარალელებს, რომელსაც მიმართავს ბ. ქუმბაძე თავისს „უფსკრულში“ ნათლად დაინახავთ, რომ ამ ორ გრძნობათა შეტაკებისაგან უსათუოდ უნდა კატასტროფა დაბადებულიყო მიუხედავად ყოველივე სხვაგვარი დამოკიდებულებისა სუსანისა და ბიძინის შორის. ეს ორი სხვა და სხვა პოლიუსის გრძნობა უსათუოდ საუბედუროდ უნდა შეხვედროდა ერთმანეთს, გარეშე იმისა, თუ რა ნათესაური კავშირი იყო „ქალწულებრივ გრძნობათა“ საუნჯეს ყრმისა და „შავ ფრთებიანის დემონის“ დედლად ქცეულის შუა.

ბიძინას გული სავსეა უცნაურის, თავბრუდამხვევის „ამაღლებულის“ გრძნობით.

„თვალთა შეხვედრამ კიდევ უფრო არია ყმაწვილის გონება, იდუმალებით მოცული ვინაობა, მშვიდი, კრავისებური სათნო გამომეტყველება წყლიანი თვალებისა და, განსაკუთრებით კი, ის უცხო, ღვინის ორთქლივით შემპარავათ მათრობელი სურნელება, რომელიც მის უცხოზ არსებას უხილავ გარსხატ შემოხვეოდა, ვით რადის სხივი, სივრციდან მოქმედება მაზე, გამოუთქმელი ლხენის ბურუსში ახვევდა ყმაწვილს და ნებისყოფას უსუსტებდა. მას სურდა ქალის წინ მუხლი მოეყარა და, ვით ღვთისმშობელს, ხელაპყრობით შევედრებოდა—სურდა ყველაფერი სიტყვით გამოეთქვა, აღსარებასავით გულწრფელად, მოურიდებლად, რომ მცირედ მაინც შეესუბუქებია ის ცეცხლივით მწველი სიმძიმე, რომელიც გულის მოძრავ ძაფებს დაჰკიდებოდა, მაგრამ აფორიაქებულ გრძნობათა ბურდო გონებას აღარ ემორჩილებოდა. სანეტარო და თან საშინელი წუთი იყო—წუთი, როცა ოდნავ შეხვედრილი თვალი და ტანთა სიახლოვე სწყვეტს ყოველივეს“. სუსანას გრძნობა სულ სხვა გვარისა დ თვისების გახლდათ და ამას თანდათან საშინელის სიცხადითა და სიმწვავით გრძნობდა ბიძინა:

„ყოველი მისი (სუსანას) სიტყვა, შიხაგანი მინაზებული გამოხმობით დამტკბარი და დაძმებული მჩხვლეტავი სიმწვავით ესობოდა ყმაწვილის აბორგებულ სულს. მას უცნობი შიშის ჟრუჟოლას გვრიდა ქალის, ქარტეხილივით მოულოდნელათ აბობოქრებული, ძალუმი ვნება, რომელიც გადაყრუებელი ძახილით მოითხოვდა მისგან რაღაც დიდს, შეულეველს, მის ნების ყოფას განუზომელი სიმძიმით სჭყლეტდა სიახლოვე ამ უცხო, მაგრამ თან სანატრელი არსებისა. ბავშური კრძალვით უსმენდა იგი ქალის მგზნებარე ხმას, რომელიც სასტიკი თანდათანობით აშიშვლებდა საკუთარ სულს, რომ სით უფრო აშკარათ, უფრო მკაფიოთ გამონაკვთულიყო უსაზღვრო ლტოლვილება ხორციელობაში ჩაძირული ტანისა. ყმაწვილი ხედავდა მის გატიტვლებულ ძუძუ-მკერდს, გონების ხელით ეხებოდა დაუკმაყოფილებელი სურვილით დამანქულ სხეულს, რომელიც დაუცხრომელი სიხარბით იზიდავდა მას თავისკენ და სურდა უჩინარი სამოსით დაეფარა ეს უსირცხვილო, საზღვარ-დაუდებელი ინსტინქტით გალაღებული ტანი, რომ გაუმაძღარ ნდომას არ ჩაეკლა მის წარმოდგენაში ასე სპეტაკად ჩასახული ხატება საყვარელი არსებისა, მაგრამ ამაოთ. უწინდელი სუსანა თანდათან მქრალდებოდა და მის ადგილს თავხედური უტიფრობით ჩნდებოდა შავი დემონი, სიტკბოებისა და ხორცის ამყოლი, ავი სული. იგი აშკარად ხედავდა, თუ როგორი სისწრაფით შლიდა დემონი იგი შავ ფრთებს და გაანჩხლებული ქირვეულობით იზიდავდა მას, შავი პირლია უფსკრულისაკენ, საიდანაც მოისმოდა გულ-შემზარავი ხროტინი და ხვნეშა დაუძინებელი გზნებით გადახლართულ მხურვალე ტანთა“.

„მწუხარებით აღსავსე თვალით ხედავდა იგი, თუ როგორ ილულებოდა ის უმანკოებით გასხივოსნებული წმინდა სუსანა, რომელმაც პირველი შეხვედრისათანავე მოხიბლა მისი ქალწულებრივი, კდემით გარემოცული სული. ხედავდა, მაგრამ ძალა არ შე-

რის გამოც მათ სდევნის და ავიწროებს ადმინისტრაცია, ეჭვის თვალით უყურებს საზოგადოება; რაც შეეხება მეორეთ, ესე იგი „მაღალ საზოგადოების“ წევრთ იგინი ორ ზომად უფრო არიან დატვირთული იმ ნაკლ—ცოდვებით, რომელიც მუშებს ახასიათებს.

დროა, რომ აქაური ქართველობა გონს მოვიდეს. გასაკეთებელი ბევრი რამ არის და მჯერა, რომ მათ შორის, თუ მოინდომებენ, გამკეთებელნიც გამოჩნდებიან. შეერთდნენ განურჩევლად პროფესიისა; საერთო ჭირ-ვარამს საერთო ძალით უნდა წამლობა. **№.**

ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. საგენტოსაგან)

ათინა. სამხედრო სამინისტროს ცნობით 2 ივლისს საბერძნეთის ჯარის უკიდურეს მარჯვენა ფრთაზე, სერეს-ნევროკოპის გზაზე, მოხდა ბრძოლა, რომელიც მთელს დღეს გაგრძელდა და ბულგარელების სრული დამარცხებით გათავდა. ბულგარელების დანაკლისი დიდია, მათ მიატოვეს ზარბაზნები და თვისი ქვეყნის საზღვრებისაკენ გაიქცნენ.

ბელგრადი. პაშიჩისა და ვენიზელოსის შეხვედრა ნიშში კი არა, უსკიუბში მოხდა. მინისტრ-პრეზიდენტებმა სადგურზევე დიდხანს ილაპარაკეს, რომლის დროსაც გამოირკვა მათი შეხედულების სრული ერთგვარობა. ვენიზელოსი უკანვე დაბრუნდა.

სოფია. რადგან დანევი გადადგა, პარლამენტის სხდომა დაიხურა. მალინოვი ცდილობს კოალიციურ სამინისტროს შედგენას.

ოსმალთა ჯარი კირკილისესკენ იძვრის; ფრაკიის ქრისტიანი მცხოვრებნი თავზარდაცემულნი ბულგარეთის საზღვრისკენ ილტვიან.

ბუქარესტი. პალატთა გახსნისას წაიკითხეს მეფის ბარათი, რომელიც ეხება ბალკანეთის ახალი ომის დაწყებას. მეფე მოუწოდებს სამინისტროს, რათა მან ჯეროვანად დაიცვას ქვეყნის ინტერესები. მეფე ჯარის მთავარ-ბანაკში წავიდა.

სოფია. რუმინიის ჯარის რაზმი ჩერვენბერგის სადგურთან გამოჩნდა და გადასჭრა სოფია-ვარნის რკინის გზა, რომლითაც მოჰქონდათ უცხოეთიდან ჯარის სურსათი და სამარი მასალა. ვარნის ნავთსადგურში მოტანილ საქონლის ბულგარეთში გაგზავნა შეუძლებელი გახდა. ეს გარემოება საშინელ მდგომარეობაში აყენებს მთავრობას.

ბულგარეთის სააგენტო იუწყება: 3 ივლისს ბულგარელები თავს დაესხნენ სერბიელების რაზმს, რომელიც ბულგარეთში იყო შემოჭრილი, და უკუ აგდო იგი. ბერძნებმა ვერ მოახერხეს ჩვენი მარცხენა ფრთის გაწყვეტა და დიდის ზარალით დაიხიეს უკან.

ათინა. საფრანგეთის მთავრობამ თავის საელჩოს მდივანს მიანდო მაკედონიაში წასვლა და გამოკვლევა ბულგარელების მიერ ჩადენილ ძალმომრეობისა.

სოფია. 4 ივლისს რუმინიის ჯარი დუნაის გადმოვიდა ორეხოვოსა და ნიკოპოლის ახლოს, რის შემდეგაც დაიკავეს ქ. ორეხოვო; ბულგარელებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. რუმინელთა ერთი ნაწილი ბულგარეთის შიგაგულისკენ წავიდა.

ბუქარესტი. ლონპალანკასა, რახოვსა, ტურტუკაისა და სილისტრიაში შემოიღეს რუმინიის ადმინისტრაცია. რუშჩუკ-ვარნის შუა მოხდა რუმინელებისა და ბულგარელების შეტაკება.

3 ივლისის ბრძოლა ვრონტის მიდამოებში ბულგარელების უკუქცევით გათავდა. 4 ივლისს ბერძნებმა დაიჭირეს მაღლობები. იუწყებიან, რომ საბერძნეთის ჯარის ცენტრიდანაც უკან დაიხიეს ბულგარელებმა.

ბელგრადი. 2 ივლისს სერბიის ჯარმა დაიკავა ქუტიკამიკი, ბულგარელების მოწინავე პოზიცია, რომელიც კუსტენდილის ახლოს მდებარეობს. ბულგარელები საგრძნობლად დაზარალდნენ.

ათინა. ათინის სააგენტო იუწყება: საბერძნეთის დივიზიამ უბრძოლველად დაიკავა ქ. მენილიკოპი.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო იუწყება: 3 ივლისს რუმინიის სამმა სამხედრო გემმა სოფ. გიგენის ახლოს ჯარი გადმოსხა, რომელიც მდ. დუნაიზე ტივების ხიდის გაკეთებას ცდილობს. შემდეგ ამისა მათ აიღეს სოფ. მაგურა და გადასჭრეს სოფიის რკინის გზა.

რომი. სოფიიდან ამბავი მოვიდა: დანევმა დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლებს გადასცა კირკილისეს გუბერნატორის დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ ოსმალებმა აიღეს ქ. ლულუ-ბურგასის სადგური და უზუნ-ქუფრუსკენ იძვრიანო. დანევმა სთხოვა სახელმწიფოებს, რათა მათ ფიცხლად აცნობონ სტამბოლში ჯარის შეჩერების აუცილებლობა, რადგან ბულგარეთისა და ოსმალეთს შორის ლონდონში ჩამოგდებული ზავი საბოლოოაო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

4 ივლისი.

უცხოეთი.

პარიზი. ეტიენის წინადადებით დეპუტატ. პალატამ მიიღო შესწორება ჯარში სამის წლით სამსახურის კანონში. ამ შესწორებით ჯარში გასაწვევი წლოვანება უნდა იყოს არა ნაკლებ 20 წლისა და შესაფერ პირობებში მოწვეულნი უნდა გაანთავისუფლონ 30 თვის სამსახურის შემდეგ. სენატის სამხედრო კომისიამ სამხედრო სამსახურის შესახებ ახალი კანონის მუხლი მიიღო, რომელიც სამის წლის სამსახურს აწესებს. კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა ჯარში გასაწვევად 26 წლის ჰასაკს.

შანხაი. იტყობინებიან, რომ სამხრეთის ჯარმა ჩრდილო ჯარი დაამარცხაო. ნანკინი უომრად აიღეს. სარდლობა თავს იდვა გენერალმა ლანსინგმა. თითონ შანხაიში მშვიდობიანობაა, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ არსენალის აღებას შეეცდებიან.

პარიზი. დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი 1913 წელს ახალ ჯარის კაცების გაწვევის შესახებ ნოემბრის მეორე ნახევარში.

უტყუარ წყაროებით ამტკიცებენ იმას, რომ საფრანგეთმა ზომები მიიღო, რათა სტამბოლში არ დაარღვიონ ლონდონის ტრაქტატი და ამით დამყარებული საზღვრები. პიშონმა წინადადება შეიტანა, რომ აგრეთვე ზომები მიიღონ ბუქარესტის შესახებაც, რათა შეაჩერონ რუმინელების სოფიაში შესვლა.

ოფიციალური ცნობა განმარტავს, რომ საფინანსო კომისიის კომიტეტებმა თითქმის დაასრულეს გეგმის წინასწარი განხილვა. 5 ივლისისათვის დანიშნული შეერთებული კრება გამოსთქვამს აზრს კრებების შეწყვეტის შესახებ, რათა დელეგატებმა საბოლოო ინსტრუქციები მიიღონ თავთავიანთ მთავრობისაგან.

შნეიდემიული სამხედრო დირიჟაბლი „შიუტელანდსი“ ქარმა თოკებიდან მოჰგლიჯა და უხალხოდ გაიტაცა. თოკებში გახლართული ჯარი-კაცი 100 საჟენის სიმაღლიდან ჩამოვარდა და დაიღუპა. დირიჟაბლი მიწაზე ერთი საათის ფრენის შემდეგ დაეშვა

ბერნი. (შვეიცარია). კერძო ინიციატივით მოწყობილმა შემოწირულებამ შვეიცარიის ჰაეროვანი ფლოტის შესაძენად, 1½ მილიონ ფრანკს გადააჭარბა.

გულლი. 6,000 ნავთსადგურის მუშა გაიფიცა.

ლონდონი. არტილერიის პოლკოვნიკი ხიეონტრნი ფრენის დროს ჩამოვარდა და დაიღუპა.

რუსეთი

პეტერბურგი. ოფიციალურად უმაღლესი ბრძანება უმართებელეს სენატს: „სახელმწიფოს ძირითად კანონების მე 99 მუხლის ძალით ვბძანებთ: სახელმწიფო საბჭოს მუშაობა შესწყდეს 4 ამ წლის ივლისიდან და განახლების დროთ დაგვინიშნავს 1 ნოემბერი 1913 წ. უმართებელესი სენატი არ დასტოვებს სისრულეში მოუყვანლად ამ ბრძანებას“. დედანზე მისი უდიდებულესობის საკუთარი ხელით არის მოწერილი **ნიკოლოოზ.**

მოსკოვი. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დაიხურა სავაჭრო დაწესებულებებში მომუშავეთა კრება.

რიგა. ფენიქსის ქარხანა გაფიცვის გამო დაიხურა.

პეტერბურგი. ვაჭრობის მინისტრის თავმჯდომარეობით განიხილეს საკითხი გერმანიაშია ხორცის გატანისა. ვინაიდგან რუსეთში საქონელიცა და საბალახოც საკმაოა, ამიტომ შესაძლოდ სცნეს ამ საქმის მოგვარება. ამასთანავე დაადგინეს, რომ ხორცის გატანის საქმე არ უნდა იქნეს წაქეზებული ხელოვნური ღონისძიებებით.

წერილი რედ. მიმართ

მ. ხ. გ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ, თქვენის პატივცემულ გაზეთის ერთ-ერთ მახლობელ ნომრის საშუალებით გამოვუცხადოთ ულრმესი მადლობა „ახალ კლუბის“ მამასახლისთა საბჭოს, ბ.ბ. კოპილნიცკის, კრიინინს, სიდამონ-ერისთავს, წუწუნავას და ყველა იმ პირს, ვინც მიიღო მონაწილეობა და დაგვეხმარა ჩვენ მიერ გამართულ საღამოში.

ნინო და ვართ ბლუქსი-მესხიშვილის ასულნი.

ბ. რედაქტორო!

უცაბედად წავაწყდი ლიტოგრაფიით დაბეჭდილს ერთ ფურცელს სათაურით „მოსკოვის ქართ. საზოგადოება“ და დიდის ყურადღებით გადავიკითხე მისი შინაარსი, რომლითაც ზემოხსენებული საზოგადოება აცხადებდა, რომ ის ყოველ ღონისძიებას მიიღებს, რათა ქართველ ღარიბ სტუდენტობის პატრონობა და დახმარება გუწიოს, როგორც სწავლის ფულის შეტანით, ისე ტანსაცმელით და სადილების მიწოდებით.

ხელი აღვაპყარ ზეცად და მადლობა შევსწირე გამჩენს: „ძლივს ქართველ მოსწავლეთ ამ დიდსა და სიცივით გათოშილ რუსთა ქალაქ მოსკოვში მზრუნველი და ქომაგი გამოუჩნდათ მეთქი“!

ქველმოქმედება თუ ვისმე სჭირია, თუ ვინმეა მშიერი, მწყურვალი, თბილ ტანთსაცმელს და დღიურ ლუკმის მოკლებული, უმეტესად ქართველი სტუდენტობაა რუსეთში. ათ წელიწადზე მეტია რუსეთის სატახტო ქალაქებში ვცხოვრობ, თვალს ვადევნებ ჩვენებურ მოსწავლეთა ცხოვრებას და გულის ტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ იმათი მდგომარეობა საშინელია, უკიდურესი. მომატებული ნაწილი სანახევროდ მშიერია და რიგიანი ბინის უქონლობის გამო დასნეულებული და ჯანგატეხილი. ვფიქრე, დღეიდან ყველა ეს საშინელი უბედურობა თუ სრულიად არ მოისპობა განახევრდება მაინც მეთქი და მაშინვე გავეშურე ამ წყაროსთვის მიმემართნა და ათიოდე დამშეულ მოსწავლისთვის დახმარება ვითხოვე. ზემოხსენებულმა საზოგადოებამაც ყოველმხრივი ნუგეში აღმოუჩინა ჩემ მიერ წარდგენილ გაჭირვებულებს, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვუძღვნი მართველობას, ბ. სუმბათაშვილს და თულაშვილს.

ზემოხსენებულ საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს უფასო სასადილოს მოწყობა ქართველ სტუდენტთათვის. ეს უდიდესი დახმარება იქნება იმათთვის, ვინც მუდმივ შიმშილს განიცდის და ცარიელა პურის ამარა იმყოფება. შიმშილი უდიდესი სენია ჩვენის ახალგაზრდობისა და თუ ამ ნაკლს გაასწორებს ზემოხსენებული საზოგადოება დიდება და პატივი იმ დაწესებულებას!

დიდის მადლობით და პატივისცემით გამსჭვალული მოსკოვის ქართ. საზოგადოებისადმი კნ. **სოფიო თარხნიშვილისა.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე

სწევდა, რომ გამკლავებოდა ჯოჯოხეთური სიმძლავრით აღჭურვილს შავ დემონს და სწუხდა,—**სწუხდა საბედისწერო გრძნობის დაბადებას, რომელსაც ცოდვის შვილივით თან დაჰყვა მწიკვლი“.**

აქ ყოველ სიტყვაში, ყოველ სტრიქონში გატარებულია დემარკაციის ხაზი იმას შუა, რასაც დიდებული რუსთაველი მიჯნურობას ეძახის და იმას შუა რასაც იგივე დიდებული მგალობელი სიყვარულისა სიძვას ეძახის:

„მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი,
„იგი სხვაა სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი.“

ბიძინა მშვენიერი მიჯნურია, ქალწულებრივი შარავანდედით მოსილი. ამ სიტყვა „ქალწულებრივს“ ავტორი ნამეტნავად ხშირადაც იმეორებს ისე, როგორც შავ-ფრთიან დემონს, სწორედ იმიტომ, რათა ურთოთი ჩაგვიქედოს მეხსიერებაში, რომ „იგი სხვაა სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“. თუ ბიძინა განიცდის ღვთაებრივ „მგრძნობელობას“ ერთგვარ ექსტაზს სიყვარულისას, სუსანა მიწას ვერ აშორებია, მისი სურვა რაღაც ჟინით შერეული ლტოლვილებაა გაუმაძღარის ხორცისა—„უყვარდა (ბიძინა) იმდენად და ისე, როგორც მეორე, მესამე, მეათე და მეასე მისი მსგავსი. ბიძინას ქალწულებრივი გრძნობა ერთგვარ ილიუზიებს ქმნიდა მისთვის—მას ართობდა, ახალისებდა ბავშვის დაუცხრომელი, სტიქიონური სიყვარული, რომელიც წარსულში განცთილი სიამის აჩრდილს აცოცხლებდა მის ხსოვნაში; ამიტომ ცდილობდა საკუთარი თვალის ახვევას, მოტყუილებას, რათა ხელოვნურად გაეღვიძებია გულს ჩარჩენილი გრძნობის ნასახი“.

და ამგვარ „ხელოვნურად გაღვიძების“ ცდას მოჰყვება გულის ამრევი მთვრალობა ღვინითა და არაყით, ერთ მიყრუებულ ქუჩის „დუქანში“, რაის შედეგიც არის საზიზღარი, საშინელი თავზარ-დამცემი შეტაკება სიძვისა და მიჯნურობის შორის, რომელიც საბედისწეროდ გათავდება ორთავესთვის.

ბიძინასთვის საშინელი ტანჯვაება იყო მთელი ეს სცენა დუქანში ქეიფობისა.

„უმაწვილი შიშითა და ძრწოლით უყურებდა, თუ როგორი უშრეტი ჟინით სცლიდა იგი ჭიქას-ჭიქაზე.... საყვარელი ქალის კოცნა-ალერსისაგან მიძინებულმა ფიქრებმა კვლავ წამოყო თავი და საშინელი თამაშით აირია მის გონებაში. იგი ახლა აშკარათ ხედავდა, თუ როგორი გულცივი ულმობელობით იბილწებოდა სპეტაკი, ქალწულებრივი სახე იმ სუსანასი, რომელიც ოდესმე განუყრელად ჩაწებებოდა მის არსებას და რომელიც ასე ურცხვათ, ასეთი ლოთური უტიფრობით იხრჩობოდა ალკოჰოლის ორთქლში. იგი საშინელი წამებით ხედავდა საყვარელი ხსოვნის საუკუნოდ დასამარებას და სწუხდა, სწუხდა განუსაზღვრელად... სუსანა, უმანკო, უმწიკვლო სუსანა, მოკვდა მისთვის და ეს მისი გამოტირილია. ნაცვლად სხივოსან შუქმფენი სახისა, მის წინ სდგას ხორცის უძლეველობით გააფთრებული დედალი, რომელიც მხოლოდ წუთიერ ვნებას აუტანია და დაუთრგუნავს“... მთელი კატასტროფაა ბიძინას წმინდა ფაქიზის არსებობისათვის ეს განცხადება სუსანასი. ეს სანახაობა „ხორცის უძლეველობით გააფთრებული დედალისა“. მაგრამ ბუნებას აქვს თავისი შემმუსვრელი, უძლეველი, ფატალური მოთხოვნილებინი, რომელიც იმონებს ადამიანს, ტყვედა ჰქმნის ბრმა ინსტიქტებისა, დაე, მის უბადრუკ თავში რაც უნდ მაღალი, სპეტაკი აზრი ტრიალებდეს—მისი ხორცი, მისი აგებულება „პირველი ცოდვით“ მოწამლული თავისას შვრება. და აი ბიძინას არსებაც დღეიდან ორად იშლება. მისი მშვენიერი, წარმტაცი სიყრმე სიმბოლო მთლიანობისა და ბედნიერებისა, სახე ჰარმონიისა და თანხმობისა ირღვევა. მისი ლამაზი სხეული და სული ხდება აბობოქრებულ უცნაურ ინსტინქტთა შეტაკებისა და შებრძოლების ასპარეზად.

იგი დღეიდან შეიქმნება ბუდედ უთანხმოებისა, ქიშპობისა და დისსონანსისა. მისი აზრი, მისი ფიქრი დღეიდან მოშხამულია და წარყვნილი, გული ერთისაკენ იწევს, თავი სხვას ეუბნება, სხეული თავისას თხოულობს, აზრი და ფიქრი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარებს ყოველივე მის ბიწიერებას და ზევიდან მეფისტოფელივით დახარხარებს.

„და მასში ისევ გაიღვიძა იმ ტკბილად მჩხვლეტავმა რაღაცამ, მინდვრის მგელმა — როგორც სუსანამ სთქვა. ცხლად და მძიმედ გადაეკრა ის „რაღაც“ მის სულს და შემოდგომის ნისლივით დაბურა ნებისყოფა“. და აღსრულდა საუკუნო ტრაგედია სქესობრივ ინსტიქტთა შეხლისა, ერთად შეხვედრისა. დაიღუპა საუკუნოდ ქალწულებრივი ბიძინა. და ხელში დაგვრჩა ნადირად ქცეული „მინდვრის მგელი“, რომელმაც სამარადისოდ დაკარგა წარმოდგენა სქესობრივის ინსტინქტის უბიწოებისა და ღვთაებრივობის შესახებ.

ეს ტრაგედიული მხარე სიყვარულისა, სქესობრივის მიდრეკილობისა, ჩინებულადა აქვს დასურათებული ავტორს. თავისსავად ბიძინას გრძნობათა სამეუფოში დაცემა და გადაგვარება საკმაო ტრაგიზმით არის აღსავსე და სრულიად ზედ-მეტი იყო აქ დედაშვილობის ეპიზოდის ჩაკერება. იგი არათუ არაფერს არა ჰმატებს მთავარ სურათს და მთავარ აზრს, წინააღმდეგ ხელ უშლის მის გამოაშკარავებას, ჩვენი შთაბეჭდილება იბნევა, ორად იყოფა. აღარ ვიცით, რომელ საშინელებაზედ მიგვითითებს ავტორი „ქალწულობრივობასა“ და „მინდვრის მგელის“ შორის ატეხილის სამკვდრო სასიცოცხლო ომის სურათზედ, თუ დღეინდელ სოციალურ არეულობაზედ, რომელიც შესაძლებლად ხდის ისეთ თავზარდამცემ შემთხვევებს, როგორც დედა-შვილის ცოდვილი კავშირია.

(შემდეგი იქნება)

კოტე აბაშიძე

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 მ. **ფომინა-თხიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვა** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 ა. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 ვ. **ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 გ. **თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიგის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. [illegible]** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. მზვერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. [illegible]** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. [illegible]** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

4 ოთახი
სამზარეულოთი

წყლით, ცივი სარდაფით სანოვაგის შესანახად და სხვა მოწყობილობით (ვანა არა აქვს) ქირავდება თვეში 40 მანეთად. ორბელიანის ქუჩა, № 19 ალექსანდრეს ბაღის ახლოს, სახლი კარახანოვისა. 413

ემმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულაძე: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეეტისხანეა: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტოვი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და [illegible]
ექიმი ქალი **მ. ტერ-[illegible]** 1—2 ს. [illegible]
ქ. [illegible]: 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, შარდის [illegible]
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. [illegible]: 6—7 საათ. რჩევა-დარიგება 50 კაპ. [illegible]
სამკურნალოს დირექტორი [illegible] 1004

ოქროს საათი

საათის ნამდვილი ზომა

სრულიად არ არის საჭირო. ოქროს საათის ნაცვლად, რომელიც 200 მანეთადა ღირს, გირჩევთ გამოიწეროთ პირდაპირ ბერლინიდან ფრანგული ოქროს საათი სისტემ. „ხრონომეტრი“, იგი ფორმით და სიმშვენიერით ოქროს საათს არ ჩამოუვარდება და ღირს მხოლოდ 4 მ. ეს საათი, ქალის თუ კაცისა, ფრიად პრტყელია, 2 სახურავიანი, მოვარაყებული ფრანგული სქელი ოქროთი 18 კარატი, იკეტება ელექტრონით. საათის მექანიზმი საუკეთესო ღირებისა, ქვებით, მომართვა „რემონტუარი“ 40 საათში ერთ ხელ. გასწორებული წუთობით, **პასუხს ვაგებთ, რომ ათი წლის განმავლობაში სწორედ ივლის.** ფასი 4 მანეთია; 2 საათი—7 მ. 50 კ., 4 საათი—14 მ. 25 კაპ. ვინც ერთხელ გაიწერა ამ საათს, ყოველთვის მადლიერი იქნება ჩვენი. ყოველ საათთან ერთად **უფასოდ** გზავნება: 1. მამაკაცებისთვის ორგანი ძეწკვი, ქალებს ყელზე ჩამოსაკიდი, ნამდვილი ფრა გულ ოქროსი; 2. შინა, ბინოკლი პარიზის საინტერესო სანახაობით; 3. საათის ზამშის ბუდე. გაგზავნის ხარჯი 50 კ., ციმბირში 75 კ. შეკვეთები სამჯერ გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და უბეოდ. ყველა ენაზე შეიძლება მოწერა შემდეგის მისამართით, რომელიც შეიძლება ან გადაწეროთ ან ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე (მარკა 50 კ.), ან ღია ბარათზე (მარკა 4 კ.).

მისამართი: Berlin 33—I. Stramfeld
Берлинъ Klosterstr. № 42.

გაფრთხილება! სიყალბის ასაცილებლად ვაცხადებთ, რომ ჩვენი საათი—ნამდ. **ხრონომეტრი**“-ა ციფერბლატზე წარწერით: „ბერლინი **ხრონომეტრი**“ Метцль 25104 1773.

95 კაპეიკად

განცვიფრებაში მოჰყავს ყველა საოჯახო სათვალთმაქცო წიგნაკს!





ამ წიგნაკის საშუალებით ყველას შეუძლიან სხვისი აზრი გაიგოს, გამოიწვიოს აჩრდილი, შეიტყოს ვის ვინ უყვარს, ვის რა ჰქვიან. გადააქციოს ჯოხი გველად, ხოლო წყალი—ღვინოდ. მოგვობის საიდუმლო უკვე ახსნილია. ფარდი აწ უკვე ახდილია და ეხლა შეგიძლიანთ აიღოთ ტიტველი ხელში გახურებული რკინა; ენაში გაიყაროთ ლურსმანი; გაიტაროთ გვამში გრძელი დანა; აჩვენოთ მოჭრილი მოლაპარაკე თავი და თქვენი თავის უვნებლად გარდაქმნა. ხელოვნება თუ როგორ გააკეთოთ ფული წყლისაგან, შეგიძლიათ გაავსოთ ერთ წამში ოთახი წყლითა ან და ნისლით და ბევრი სხვა გასაოცარი თვალთმაქცობა ჩაიდინოთ. თვალთმაქცობის შესრულების დროს ყოველი სახლი შეგიძლიანთ აქციოთ ნაზრახ კოშკად. ფასი 95 კაპ. გამოგზავნება ფასდადებითაც. გამოგზავნისათვის და ფასდადებისათვის გადასახდელი იქნება 25 კ. ერიდეთ სიყალბეს! ახალი გამოცემა ბევრად შესწორებულია, 272 გვერდი და მრავალი სურათი.

მისამართი: Т—во „Заря“, Варшава, отд. 95.

M. 40608. 1381

ნუნისის სამკურნალო აბანოს
(შორაპნის მაზრაშია).
სეზონი დაიწყო 1 ივნისს და გაგრძელდება 1 ოქტომბრამდე. 412

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„მ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება
ნ. შ ი უ კ ა შ ვ ი ლ ი ს
პიესა **„მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მუდამ დღე მოგვდის
ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა [illegible]
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში [illegible], შიპა, ზურგილები, სხვა ყოველ-ნაირი თევზეულობა და **კონსერვები.**

თევზის მრეწველნი
ძმ. ძებელოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.